საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყვეცა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 10-11 მაისი. 2021 წ. №99-100 (9218-9219) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ირაკლი ღარიბაშვილი:

ამ ქვეყანაში არავინ დგას კანონზე მაღლა!



ნებართვას არავის არასდროს შევეკითხებით, რომ კანონი აღსრულდეს და მას ყველა დაემორჩილოს, ნიკა მელია ბაქიბუქობდა და ამბობდა, რომ გირაოს არ გადაიხდიდა, აღმოჩნდა, რომ დაიჭირეს კიდეც და გირაოც მიიღო...

პრემიერის თქმით, ქვეყანაში კანონზე მაღლა ვერავინ ვერასდროს დადგება.

„დღეს ქვეყანაში გვაქვს უამრავი პრობლემა, როგორიცაა სიღარიბე, უმუშევრობა, კოვიდპანდემია. არ მაინტერესებს გაუგებარი პოლიტიკოსების უნიჭოდ დადგმული სპექტაკლები და შოუ. ჩვენ კარგად გვახსოვს, ეს ადამიანი ამბობდა, რომ ვერც დაიჭერდნენ და არც გირაოს გადაიხდიდა. კანონი აღსრულდა და ჩვენ ნებართვას არავის არასდროს შევეკითხებით, რომ კანონი აღსრულდეს და მას ყველა დაემორჩილოს, ეს უნდა დაიმახსოვროს ყველამ. ამ ქვეყანაში არავინ დგას კანონზე მაღლა, არც დაბლა. არავის შევეკითხებით ნებართვას, მათ შორის არც ამ გაუგებარ ადამიანს, რომელიც ტყუილად ბაქიბუქობდა და ამბობდა, რომ გირაოს არ გადაიხდიდა. აღმოჩნდა, რომ დაიჭირეს კიდეც და გირაოც ძალიან კარგად მიიღო “, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ქართული პოლიტიკური მარაზმის დასასრულის დასაწყისი 4

ერთი წელი რომ დასცლოდა სააკაშვილს, დავითგარეჯა მთლიანად დაგვეკარგებოდა

5

სალომე ზურაბიშვილი:

ევროპამ გვაჩვენა, რომ მისთვის საქართველოს სტაბილურობა ცარიელი სიტყვები კი არა, რეალური მიზანი და ამოცანა ყოფილა!

ასე გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საქართველოში ევროპის დღის აღნიშვნას.

„მთელს ევროპაში ევროპის დღე ევროპელ ხალხთა და ევროპის ქვეყნების ერთიანობის დღედ აღინიშნება. იგი ეფუძნება ევროპულ კულტურისა და ისტორიის შემქმნელ ფასეულობებს. ევროპის ისტორია გვაჩვენებს, რომ ყოველივე დიდ გამოწვევას, ომსა თუ ტრაგედიას მოჰყვება ახალი შესაძლებლობები, ახალი სიმტკიცე, ახალი ენერგია. ჩვენც ამ მშვიდობიანი მომავლის იმედს ვიზიარებთ დღეს. ევროპამ ახლახან გვაჩვენა, რომ მისთვისაც საქართველო მნიშვნელოვანი მოკავშირეა, მისთვის საქართველოს სტაბილურობა, დემოკრატიულობა და წინსვლა, თურმე ცარიელი სიტყვები კი არა, რეალური მიზანი და ამოცანა ყოფილა. ევროპა გვერდში დაგვიდგა. ჩვენი ევროპისკენ მიმავალი გზა არც ადვილი, არც ერთგვაროვანია, თუმცა ჩვენ, ანუ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ ვიცით, რომ ეს ჩვენი წინსვლის რეალური გზაა. ამ დღეს ვულოცავ ყველა ჩვენს ევროპელ პარტნიორს, ევროპელ ჩვენს მეგობრებს, ევროპაში მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს. ეს დღე ჩვენი ერთობლივი დღესასწაულია“, — აღნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

ევროპის დღეს ვულოცავ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ევროპული ღირებულებები!

ევროპის დღეს ვულოცავ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ევროპული ღირებულებები, ყველას, ვინც საქართველოს მომავალს ევროპის სახელმწიფოთა დიდ ოჯახში ხედავს, — ამის შესახებ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის დღესთან დაკავშირებულ მიმართვაში აცხადებს. მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ისწრაფვის ევროპული სივრცისკენ.

„ვულოცავ ჩვენს მეგობრებს — ევროკავშირის ელჩს — ბატონ კარლ ჰარცელს და ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში. ქართველები ვამაყობთ, რომ ევროპული კულტურის ერთ-ერთი შემოქმედი ვართ. დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ვისწრაფით ჩვენი ბუნებრივი გარემოს — ევროპული სივრცისაკენ. მჯერა, რომ ევროპულ ერთიანობას ისევე სჭირდება საქართველო, როგორც ჩვენ გვჭირდება ევროპა“...

„დაგმარხავთ!“ „პოლონელებთან სექსი“ და... 7

თარჯიმნების სხვა შეცდომები, რომლებსაც კატასტროფა მოჰყვა

რატომ აკვირდებოდნენ ოპონენტები მაღლენ ოლბრაიტის სამკაულებს? 8

დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი უბედურება ანტისისტემური ოპოზიცია და მისი მომსახურე მედიაა 6

პრეზიდენტის საქმიანი ვიზიტი ჩრდილოეთ მაკედონიაში

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი 10 მაისს ოფიციალური ვიზიტით ჩრდილოეთ მაკედონიას ეწვევა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია შეხვედრები ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირებთან: პრეზიდენტ სტევო პენდაროვსკისთან, ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტ ტალატ ჯაფერისთან და პირველ ვიცე-პრემიერ არტანგრუბისთან.

საქართველოს პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ, რომელიც „ვილა ვოდნოს“ სასახლეში გაიმართება, დაგეგმილია ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის პრეზიდენტთან პირისპირ და გაფართოებული შემადგენლობით შეხვედრები.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერება ორ დოკუმენტს — შეთანხმებას „საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის მთავრობებს შორის ვიზის მიღების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ“ და მემორანდუმს „ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკასთან კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

დოკუმენტებზე ხელმოწერის შემდეგ, დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტისა და ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ერთობლივი განცხადებები პრესისთვის. ასევე, დაგეგმილია პრეზიდენტის შეხვედრა ჩრდილოეთ მაკედონიაში მოღვაწე ქართველ სპორტსმენებთან და კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან.

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში არიან: პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ნათია სულავა, საქართველოს პარლამენტის წევრი, ჩრდილოეთ მაკედონიასთან მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელი გივი მიქანაძე, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს ელჩი ჩრდილოეთ მაკედონიაში თამარ ლილუაშვილი, პრეზიდენტის მრჩეველი განათლების, კულტურისა და მეცნიერების საკითხებში კონსტანტინე ნაცვლიშვილი და საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის დეპარტამენტის დირექტორი ნინო ბარათაშვილი.

ვეტერნების დაფასება ჩვენი ღირსების საქმეა!

ჩვენს გმირ ვეტერანებს, ვინც უდიდესი თავგანწირვის ფასად იხსნეს კაცობრიობა ფაშიზმისგან, განსაკუთრებული სითბოთი და პატივისცემით ვულოცავ გამარჯვების დღეს, მეორე მსოფლიო ომის დასრულების 76-ე წლისთავს, — ამის შესახებ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ წერს.

მთავრობის მეთაურის თქმით, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ამ ომში საქართველომ ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო.

„ისტორიამ არ იცის ფაშიზმზე უფრო დიდი ბოროტება. ქართველმა მეომრებმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მის დამარცხებაში. ისინი სახლებიდან შორს, გმირულად იცავდნენ საკუთარ ოჯახებს, საყვარელ ადამიანებს, სამშობლოს. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ამ ომში საქართველომ ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო. ასეულ ათასობით ჩვენი თანამემამულე საკუთარ ოჯახებს ვეღარ დაუბრუნდა. ქედს ვიხრი მათი ნათელი ხსოვნის წინაშე.

მინდა, ასევე პატივი მივაგო მათ, ვინც ომიდან გამარჯვებული დაბრუნდა, მაგრამ დღეს უკვე აღარ არიან ჩვენს გვერდით. ყველა ჩვენგანი ვალში ვართ ვეტერანთა წინაშე. მათი ღვაწლის უფრო მეტად დაფასება ხელისუფლებისთვის, საზოგადოებისთვის, თითოეული ჩვენგანისათვის ღირსების საქმეა. ამიტომ, ჩვენ განსაკუთრებით ვზრუნავთ მათზე და ვცდილობთ საქმით გამოვხატოთ ჩვენი უდიდესი მადლიერება.კიდევ ერთხელ ვულოცავ ვეტერანებს ამ დიდ დღესასწაულს და მხნეობას, ჯანმრთელობას და მშვიდობას ვუსურვებ“, — აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

კარლ ჰარცელი: ევროკავშირი საქართველოს განვითარების მთავარ პარტნიორად დარჩება

„დღეს ევროპის დღეა. დღეს ჩვენ ვზეიმობთ იმ იდეის არსებობას, რომელიც ევროკავშირის ფუნდამენტს წარმოადგენს — იდეას, რომ თანამშრომლობას შეუძლია, აჯობოს ომსა და კონფლიქტებს და შექმნას კეთილდღეობა, როგორც ევროპის კონტინენტზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. იდეა, ზუსტად 71 წლის წინ გაჩნდა.

დღეს ჩვენ, როგორც ევროპელებმა, ვიცით, რომ სწორედ ეს იყო ის გზა, რომელსაც უნდა გავყოლოდით, რომ თანამშრომლობა და პარტნიორობა მართლაც სარგებლის მომტანი ყოფილიყო. ჩვენ ამ ფილოსოფიას ვეყრდნობით ჩვენს საგარეო ურთიერთობებშიც, მათ შორის ისეთ ახლო პარტნიორთან, როგორიც საქართველოა.

ორ ქვეყანას შორის პარტნიორობა ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის და მე ვამაყობ, რომ ევროკავშირი გვერდში ედგა საქართველოს COVID-19 პანდემიასთან ბრძოლის დროს.

ევროკავშირი ქვეყანას უწევდა ფინანსურ დახმარებას, აწვდიდა აღჭურვილობას და საჭირო ცოდნას. სამომავლოდაც, ევროკავშირი საქართველოს განვითარების მთავარ პარტნიორად დარჩება. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ძლიერი, წარმატებული და დამოუკიდებელი საქართველო სარგებელს მოუტანს როგორც თავად ქართველებს, ასევე ჩვენს პარტნიორობას, ზოგადად რეგიონს და, საბოლოოდ ევროკავშირს, ვინაიდან ჩვენ ვაფასებთ ჩვენს მეგობრობას, საერთო ღირებულებებს და მზარდ თანამშრომლობას, სავაჭრო, უსაფრთხოების, კულტურის, ტურიზმის სფეროებში და განსაკუთრებით ჩვენს მოქალაქეებს შორის.

ასე რომ, ნება მომეცით, ვისარგებლო ამ შემთხვევით და მადლობა გადავუხადო საქართველოს და მის ყველა მოქალაქეს სტუმართმოყვარეობისა და მეგობრობისთვის, რადგან ჩვენ 2021 წელს ერთად აღვნიშნავთ ევროპის დღეს“, — აცხადებს კარლ ჰარცელი.

კახა კუჭავა: ნიკა მელია არ არის პოლიტპატიმარი!

ევროკავშირის მიერ ნიკა მელიასთვის გირაოს გადახდა მიუთითებს, თუ რამდენად დიდია ინტერესი საქართველოს მიმართ, რომ პოლარიზებამ, დაძაბულობამ დაიკლოს, ყველამ გადაინაცვლოს პარლამენტში სამუშაოდ და გააგრძელოს ის საქმიანობა, რომელიც მათ მანდატებს ეკადრება, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, კახა კუჭავამ განაცხადა.

„ეს უნდა იყოს ამოსავალი წერტილი, მათ შორის მელიასთვის, რომელმაც, როდესაც გამოვა პატიმრობიდან, აუცილებლად უნდა დაიკავოს პარლამენტში ადგილი და გააგრძელოს საქმიანობა. ნიკა მელი,ა რა თქმა უნდ, არ არის პოლიტპატიმარი. ნიკა მელიას საქმესთან დაკავშირებით ჯერ სასამართლოს გადაწყეტილება არ მიუღია, ჯერ ვერავისზე ვერ ვიტყვით, ვინმე არის თუ არ არის დამნაშავე. საუბარი არის გირაოზე და გირაო დადგა იმ კონკრეტული ფაქტის შემდეგ, რაც განხორციელდა საჯაროდ, საზოგადოების წინაშე და ამან გამოიწვია შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. ძალიან დიდი და წინგადადგმული ნაბიჯია ევროკავშირის მხრიდან და უნდა მივიღოთ ეს ნიშნად იმისა, რომ მათ სურთ საქართველოში დასრულდეს პოლარიზება, დაწყნარდეს სიტუაცია, დაუბრუნდეს ყველა თავის ადგილს და პარლამენტში გააგრძელონ მუშაობა“, — განაცხადა კუჭავამ.

არც ახლა დაიჯერებთ, რომ პოლიტიკური გიჟიც თავისუფალია?!

შალვა ნათელაშვილი: ვიდრე დედამიწა ტრიალებს იმ მიმართულებით, როგორც ტრიალებს...

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ შარლ მიშელის მიერ წარდგენილ დოკუმენტს ხელს არც ნიკა მელიას გათავისუფლების შემდეგ მოაწერს.

როგორც ნათელაშვილი აცხადებს, აღნიშნული დოკუმენტი კაპიტულანტურია.

„თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ ოდესმე ხელს მოვაწერთ კაპიტულანტურ დოკუმენტს, რომლითაც კრიმინალი ივანიშვილის ბანდა იღებს ლეგიტიმაციას? ეს ხომ გამორიცხულია. ვიდრე დედამიწა ტრიალებს იმ მიმართულებით, როგორც ტრიალებს, ეს არ მოხდება. თუ უკუღმა დატრიალდება, არ მგონია, ამას მოვესწროთ“, — განაცხადა ნათელაშვილმა.

მუსლიმ სამხედროებს მინიატურული წმინდა წიგნი გადაეცათ

თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებს ყურანის მინიატურული წიგნები დაურიგდათ.

ყურანი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით დაიბეჭდა და თავდაცვის ძალების ყველა სამხედრო ქვედანაყოფში გადანაწილდა.

„სენაკში, დასავლეთ სარდლობის მეორე ქვეითი ბრიგადის სამხედრო ბაზაზე, ჯარისკაცებისთვის ყურანის გადაცემის ღონისძიებას თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდალი ბრიგადის გენერალი კობა გრიგოლია და საქართველოს მუფთი ადამ შანთაძე დაესწრნენ.

ყურანის გადაცემის შემდეგ, მუფთმა სამხედრო მოსამსახურეები დალოცა, მოახლოებული რამადან ბაირამი მიულოცა. მინიატურული ყურანი საველე პირობებზეა მორგებული, კომპაქტური და დრეკადია. მისი ყდა კომუფლირებულია. სამინისტროს ინიციატივით, თავდაცვის ძალების მართლმადიდებელ ქრისტიან სამხედრო მოსამსახურეებს გიორგობის დღესასწაულზე უკვე გადაეცათ მინიატურული წმინდა წიგნები „ახალი აღთქმა“.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲘᲥᲪᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐᲡ ᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐ...

ᲕᲔᲢᲝ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ – ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐᲗᲐ �კᲝᲓᲔᲥᲡᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲐ. ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲑᲠᲘᲤᲘᲜᲒᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ. ᲐᲠᲐᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲘᲛᲔᲓᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲔᲢᲝᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲪᲠᲣᲐ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲐᲛᲓᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ 2-ᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲕᲔᲢᲝᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ.

მაშინ რატომ გაუჩნდა ოპოზიციას მოლოდინი, რომ ის ვეტოს გამოიყენებდა? რა იყო მიზეზი, რის გამოც პრეზიდენტმა მოლოდინის რეჟიმი შექმნა? უნდოდა კი რეალურად ვეტოს დადება, თუ ეს მორიგი პოლიტიკური სიმულაცია იყო, რომელშიც ხელისუფლებაც მონაწილეობდა? ამით კი სურდა ევროკავშირისთვის ეჩვენებინა, რომ პრზიდენტის ინსტიტუტი დამოუკიდებელი და ხელშეუხებელია? შესაძლოა, ის ვერსიაც განვიხილოთ, რომ ზურაბიშვილი პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ, „ქართულ ოცნებასთან“ თავს ანგარიშვალდებულად აღარ მიიჩნევს. ამიტომ მან საკუთარი ფუნქციების შესრულება რეალურად დაიწყო. ამასთან, **ᲨᲐᲠᲚ ᲛᲘᲨᲔᲚᲘᲡ** დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ, ზურაბიშვილი ფიქრობს, რომ ევროკავშირთან და ამერიკასთან ანგარიშვალდებულია. მას სურს დაანახოს ყველას, რომ ის არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ფიგურა, რომელიც ქვეყანაში არსებულ პოლიტიკური კრიზისის განმუხტვას ცდილობს. შესაძლოა, პრეზიდენტმა კანონპროექტზე ვეტოს დადებით, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ბედის გაზიარება არ მოისურვა, რომელმაც ხელისუფლებასთან დაპირისპირება სწორედ ვეტოს დადებით დაიწყო. ანალიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ზურაბიშვილს ეძლეოდა შანსი, ამ გადაწყვეტილებით, მისი როგორც პოლიტიკური ფიგურის ფუნქცია უფრო მნიშვნელოვანი გამხდარიყო. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მან ნიადაგი მოსინჯა და „ოცნება“ უბრალოდ გააფრთხილა და ბოლო შანსი მისცა.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა **ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲐᲫᲔ** პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ სალომე ზურაბიშვილს თავისი განწყობები (აპირებს თუ არა ვეტოს გამოყენებას), არ გამოუხატავს. თუმცა, პრეზიდენტს საკუთარი არგუმენტები გააცნეს და იმედი გამოთქვა, რომ სალომე ზურაბიშვილი ამ არგუმენტებს გაიზიარებს.

ოპოზიცია ამ კანონპროექტს მკაცრად აკრიტიკებს, რადგან მათივე შეფასებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სანქციის გამკაცრება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ისახავს მიზნად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ, მათ შთაბეჭდილება დარჩათ, რომ ის ვეტოს დადებას აპირებდა. საბოლოო ჯამში კი, ოპოზიციას იმედი გაუცრუვდა.

მიუხედავად ზურაბიშვილის გადაწყვეტილებისა, „მოქალაქეების“ წევრმა და ვიცე-სპიკერმა **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲛᲐ** პრეზიდენტის ქმედება „ქართული ოცნების“ მიმართ ბოლო გაფრთხილებად შეაფასა. ის არ გამორიცხავს, რომ ამის შემდეგ პრეზიდენტმა დამოუკიდებელი მოქმედება და ვეტოების გამოყენება დაიწყოს.

„მე პირადად ზურაბიშვილის განცახდება ისე გავიგე, რომ მან „ოცნება“ გააფრთხილა და პირდაპირ უთხრა – ასეთ შანსს ბოლოჯერ გაძლევთ და პარლამენტის მიერ კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღება სწორი გადაწყვეტილება არ იყო. პრეზიდენტის განცხადებები და ოპოზიციასთან შეხვედრები იმის დასტურია, რომ ის ხელისუფლებას ასეთ ცვლილებებს აღარ გაუტარებს. ზურაბიშვილი მიხვდა, რომ აღნიშნული კანონის მიღება ლოგიკაში არ ჯდება, მით უმეტეს სრულიად გაუგებარია, როცა შერიგების და ოპოზიციის ნაწილის პარლამენტში შესვლის პროცესში ვიმყოფებით. ის შარლ მიშელის დოკუმენტის რეალიზაციის მხრივ პასუხისმგებლობას გრძნობს და არ აპირებს, რომ „ოცნების“ გამო ჩვენს პარტნიორებთან საქმე გაიფუჭოს“, – განაცხადა იოსელიანმა.

დეპუტატი **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ** კი ამბობს, რომ ზურაბიშვილის გადაწყვეტილებით იმედი გაუცრუვდა, რადგან ჰქონდა მოლოდინი, რომ პრეზიდენტს პოლიტიკური გამბედაობა ეყოფოდა და ვეტოს უფლებას გამოიყენებდა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც კანონი ძალაში შევა, აუცილებლად მოახდენენ ინიცირებას ცვლილებების „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა“ კოდექსში.

„ვფიქრობ პრეზიდენტს სრულიად ჰქონდა იმის შესაძლებლობა და საბაბი, რომ ვეტოს უფლება გამოეყენებინა. მას მეტი პოლიტიკური ნება უნდა გამოეჩინა, თუმცა როგორც აღმოჩნდა - ვერ შეძლო. მას შეუძლია ამ უფლებას ინტერპრეტირება გაუკეთოს ძალიან ვიწროდ ან უფრო ფართოდ. ამ გადაწყვეტილებით მან ვეტოს ვიწრო ინტერპრეტაცია მისცა და ეს იურდიული საფუძვლიდან გამომდინარე გაამართლა. აქვე აღნიშნა, რომ პოლიტიკურ მიზანშეწონილობას ხედავდა, მაგრამ ფაქტია, გამბედაობა არ ეყო“...

ანალიტიკოსი **ᲖᲐᲐᲚ ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ** კი ამბობს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა სავარაუდოდ, იურდიული ასპექტების გათვალისწინებით იხელმძღვანელა. ხელისუფლება ამბობდა, რომ ადმინისტრაციულ კოდექსში შესატანი ცვლილებები კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა, ამიტომაც კონსტიტუციის დაცვის გარანტორი პრეზიდენტი მის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა.

რაც შეეხება პრეზიდენტის გადაწყვეტილების პოლიტიკურ კონტექსტს, იყო თუ არა მისი მხრიდან მცდელობა იმის, რომ მას დამოუკიდებელი ფიგურის როლი ეთამაშა და დაეწყო პრეზიდენტის ფუნქიების შესრულება, ანჯაფარიძე გვპასუხობს, რომ ამაზე პასუხი რთულია, თუმცა მასაც ჰქონდა მოლოდინი, რომ ის ვეტოს გამოიყენებდა.

„ვფიქრობ, სალომ ზურაბიშვილი ძალიან წინდახედულად მოიქცა, როცა ერთი მხრივ ჯერ ოპოზიციას შეხვდა, მათი არგუმენტები მოისმინა და შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონსულტაცია გამართა. ეს არ ყოფილა გადაწყვეტილება, რომელიც პრეზიდენტმა ექსკლუზიურად კონსულტაციების გარეშე მიიღო. ამით ზურაბიშვილმა აჩვენა, რომ ის არის ყველას პრეზიდენტი და არაა მხოლოდ ხელისუფლების მხარდამჭერი და მის მიერ ხელდასხმული ფიგურა. ხელისუფლების წარმომადგენლების ვიზიტის გამო შეცვალა თუ არა დამოკიდებულება, ამის განსჯა ძალიან რთულია. მე მაინც ვემხრობი იმას, რომ ის დაარწმუნეს კანონში გაკეთებული შესწორებები კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში არ მოდის. არც ის ფაქტორი უნდა გამოვრიცხოთ, რომ მას ხელისუფლებასთან ურთიერთობის დაძაბვა არ უნდა“, – აცხადებს ანჯაფარიძე.

ანალიტიკოსი **ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გ ᲫᲐᲑᲘᲠᲐᲫᲔ** კი ფიქრობს, რომ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ადრე თუ თვლიდა, რომ ის დავალებული იყო არა „ქართულ ოცნებასთან“, არამედ უშუალოდ ბიძინა ივანიშვილთან, მისი პოლიტიკიდან გასვლის შემდეგ, შესაძლოა, ჩათვალა ეს ფსიქოლოგიური წნეხი მოხსნილია. ამიტომაც „ოცნებასთან“ პირდაპირი ვალდებულებები აღარ აქვს. ახლა გადაწყვიტა, რომ მისი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურის მოქმედების დროა. თუმცა რეალური პროცესი პრემიერს მიჰყავს და მოქმედებები მასთან შეთანხმებული უნდა იყოს. ამიტომაც, როგორც ჩანს, ის ღარიბაშვილმა დაარწმუნა, რომ მისი მიერ დადებული ვეტო პოლიტიკურად გაუმართლებელი იქნებოდა. სავარაუდოდ, მან „ოცნების“ წინააღმდეგ წასვლა ბოლომდე ვერ გაბედა ან კიდევ ერთი შანსი მისცა.

„მე ვფიქრობ, რომ პრეზიდენტმა თავისი ფუნქციის შესრულება დაიწყო. ერთი, რომ პოლიტიკაში ივანიშვილი აღარ არის და მას ეს ფსიქოლოგიური წნეხი აღარ აქვს. ამის პარალელურად შარლ მიშელის დოკუმენტის შეთანხმების ვალდებულებები პრეზიდენტსაც აქვს აღებული. ამიტომ ანგარიშვალდებული არის, როგორც ევროპასთან, ასევე ამერიკასთან. შესაბამისად, ორივე მხარეს მოუსმინა. არ ვიცი, იქ ხელისუფლებამ რა და როგორ აუხსნა, მაგრამ ფაქტია, რომ მან გადაწყვეტილება შეცვალა.

მთელი დღის განმავლობაში ოპოზიციას ჰქონდა იმედი, რომ ის ვეტოს გამოიყენებდა. მისი დაფიქრების მიზეზი შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას, რომ ადრე თუკი მას არანაირი ფუნქცია არ ჰქონდა, ამ შეთანხმების შემდეგ, მას ეს ფუნქციები გაუჩნდა. ამ პროცესს უფრო იმას დავარქმევდი, რომ ის კონსულტაციებს მართავს, როგორც ოპოზიციასთან, ასევე ხელისუფლებასთან. ესაა შუამავლის როლის შესრულება, რაც პრეზიდენტმა უნდა გააკეთოს. ძალიან კარგია, თუ ზურაბიშვილმა თავისი ფუნქციების მეტ-ნაკლებად შესრულება დაიწყო. მისასალმებელია, რომ ქვეყანაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ფიგურა გაჩნდა“, – აცხადებს ძაბირაძე for.ge-სთან.

მისივე თქმით, პრეზიდენტს შეიძლება უკვე ის უფრო ადარდებს, ჩვენი პარტნიორები მასზე რას იფიქრებენ, ვიდრე ქართული ოცნება. თანაც შარლ მიშელის დოკუმენტის შეთანხმებაში ისიც მონაწილე ფიგურაა და არც თუ უმნიშვნელო. თუმცა ბოლომდე ხელისუფლებასთან დაპირისპირება ვერ გაბედა. ყოველ შემთხვევაში, რაღაცა მცდელობაც რომ ჰქონდა, ესეც კარგია...

ᲚᲘᲙᲐ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲔᲠᲗᲝᲑᲐ, ᲠᲐᲝᲑᲐ, ᲘᲛᲔᲓᲘ“...

ᲠᲐᲘᲜᲓᲘ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐᲐ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ველზე ახალი პარტია ჩნდება და დადგა ნანატრი დრო, რომ ვთქვათ, ქვეყანაში „მესამე, ალტერნატიულ ძალას“ ვიხილავთ **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲕᲐᲡᲐᲫᲘᲡ** სახით, ანუ შეიძლება თქმა, რომ ქვეყანას „გადამრჩენელი რაინდი“ უკვე მოგვევლინა. ჰომოფობიური, ქსენოფობიური და პრორუსული ჯგუფების ლიდერის პოლიტიკაში შემოსვლის გადაწყვეტილება ანალიტიკურ თუ პოლიტიკურ წრეებში დიდად არ გაჰკვირვებიათ, რადგან მას გარკვეული საზოგადოებრივი აქტივობები აქამდეც ჰქონდა, თანაც საკმაოდ ხმაურიანი.

პოლიტიკურ ასპარეზზე რამდენად გადაიხრება ისარი ვასაძისკენ, რთული სათქმელია, ამას დრო გვიჩვენებს, თუმცა, თუკი გავითვალისწინებთ მის იდეოლოგიას, თუ რის წინააღმდეგ იბრძვის და რას უჭერს მხარს, დიდი პოლიტიკური პერსპექტივა, ალბათ, არ ექნება.

„ᲔᲠᲗᲝᲑᲐ, ᲠᲐᲝᲑᲐ, ᲘᲛᲔᲓᲘ“ – ესეც ლევან ვასაძის პარტიის ლოზუნგი. **„უკვე ლეგენდარულ მასშტაბში ასული ჩვენი ურთიერთსიძულვილის და ურთიერთდაპირისპირების ანტიკულტურა, ექსტრემისტული, მე ვიტყოდი, თავდასხმები ერთმანეთზე, ჩვენი ქვეყნის ძირითად ინსტიტუტებზე, უკვე გახდა ყოველდღიური რეალობა და ამ რეალობიდან ერთად უნდა ვეძებოთ გამოსავალი.**

ᲘᲮ. 4 ᲒᲕ.



ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ „ᲛᲨᲠᲐᲚᲐᲓ“ დავიწყებ: პოლიტიკოსისთვის ყველაზე საშინელი დასასრული მისი რეიტინგის და იმიჯის განადგურებაა.

პოლიტიკოსის ყველაზე დიდი შეცდომა იმ ავანტიურაზე წამოგებაა, რომელიც მისი განადგურებისკენ არის მიმართული.

მელია ადვილად წამოეგო სააკაშვილის მხრიდან მის წინააღმდეგ მიმართულ ავანტიურას, რომელიც სააკაშვილმა მელიას დასჯის მიზნით წამოიწყო:

1. ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ;

2. ᲛᲔᲚᲘᲐᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲝᲑᲝ ᲚᲘᲓᲔᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲫᲪᲔᲕᲐ;

3. ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲩᲐᲩᲝᲩᲔᲑᲐ.

მელიამ დაიჯერა, რომ ის სამაჯურის საჯაროდ მოხსნით, გირაოზე უარის თქმით და ციხეში ჩაჯდომით, ხელისუფლებასთან მებრძოლი გმირის მანტიას მოისხამდა, ხოლო დასავლეთში ნელსონ მანდელას მსგავს მებრძოლად აღიარებდნენ.

ყველამ, ვინც ოდნავ მაინც ერკვევა იურისპუდენციაში, იცის, რომ სახელმწიფოს ყოველთვის აქვს პატიმრის ციხიდან გამოშვების ბერკეტი, რომლის ყველაზე მარტივი ფორმა ამნისტიაა.

ეს კარგად იცოდნენ ე.წ. ოპოზიციონერებმა და მელიას მხარდაჭერას მხოლოდ ტელევიზიებში რევოლუციური განცხადებების კეთებითა და ერთი კალათა ნობათის მიწოდებით ახორციელებდნენ, ამ დროს კი პრეზიდენტის რეზიდენციაში ხელს აწერდნენ პარლამენტში შესვლისა და ოპოზიციის ერთიანობის კაპიტულაციის დოკუმენტს.

მელია ციხიდან გამოდის და გამოდის არა როგორც გმირი ან მოუდრეკელი მებრძოლი, არამედ გამოდის როგორც ფიგურა, რომელმაც სრულად დაკარგა პოლიტიკური წონა.

დაკარგა დრო.

პოლიტიკოსისთვის ყველაზე აუცილებელი და მუდამ უკმარისი დრო, რადგანაც იმ პერიოდში როცა ის სააკაშვილის ანკესზე იყო ჩამოკიდებული, ქართულ პოლიტიკურ ველზე ისეთი სერიოზული მოთამაშეები შემოვიდნენ, რომელთა თუნდაც ინტელექტუალურ რესურსთან ხაბეიშვილის, ბოკუჩავას და სხვა ფუყე ნაცების მონაცემები ახლოსაც ვერ მოვა.

მოკლედ რომ ვთქვა, დღეს ჩვენ, ისევე როგორც 76 წლის წინ მსოფლიომ ნახა გერმანული ნაციზმის განადგურება, ისე ვნახეთ ქართული ნაციზმის სრული პოლიტიკური კრახი.

უცნაური და საოცარია ფრაზა – „მესამე ძალა“

უკაცრავად, მაგრამ „მეორე ძალა“ ვინ არის?

რა, ნაცების პოლიტიკურ ძალად აღიარება ხდება?

ე.ი. პოლიტიკურ ძალად იმ გაერთიანების აღიარება ხდება, რომელსაც 31 ოქტომბრის მერე არცერთი კონსტრუქციული პოლიტიკური ნაბიჯი არ გადაუდგამს და მთლიანად დესტრუქციაზე არის გადაწყობილი?

ახლა არ მითხრათ, არჩევნებზე 25% მიიღესო.

ის, თუ საიდან ასეთი ციფრი, ვრცელი თემაა და ვისაც ძალიან უნდა მისი განხილვა, სხვადასხვა ჭრილში უნდა მოახდინოს (ფსიქოლოგიური, მენტალური, რამდენად საჭირო იყო ნაცების მეორე ძალად აღიარება და. ა. შ.).

კიდევ ერთხელ ვამბობ იმას, რაც არჩევნებამდეც არაერთხელ მითქვამს - დღეს არანაირი „მეორე ძალა“ არ არსებობს და ყველას, ვისაც პრეტენზია აქვს ქართული პოლიტიკის კეთებაზე, ამ ვაკანსიის დასაკავებლად უნდა იბრძოლოს.

ბოლოს კი შინაურულად ვიკითხავ: გახარიას, ინაშვილს ან თუნდაც ვასაძეს წესით უნდა „უტყდებოდეთ“, როცა მათ ხაბეიშვილსა და ბოკუჩავაზე უკან მოიაზრებენ“...

ძალიან ხშირად ვამბობთ და გვესმის წუხილი ქართული პოლიტიკისა თუ ჟურნალისტიკის სავალალო მდგომარეობაზე. გვესმის წუხილი იმაზე, რომ ტელევიზიებით გასული სხვადასხვა შოუები, ან ქართული სერიალების უმრავლესობა მდარე გემოვნებითაა შექმნილი.

გვესმის ძალადობის ფაქტები ოჯახში, სკოლაში, ქუჩაში, ინტერნეტ-სივრცეში და კიდევ უამრავი რამ, რაც საზოგადოებას აწუხებს.

ყოველგვარი მორიდების გარეშე ვიტყვი, რომ არსებული მდგომარეობა მომავალს საკმაოდ მუქ ფერებში წარმოგვიჩენს.

პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს ყველაფერი განათლების კარჩაკეტილი უაზრო სისტემისა და კულტურის მიმართულებების არამზადების ხელში ჩავარდნამ გამოიწვია.

როდესაც განათლების სამინისტროს წარმომადგენელი იყენებს თუნდაც უმარტივეს სიტყვებს – ტრენინგი ან კურიკულუმი, წესიერმა სახელმწიფომ ის მაშინვე უნდა გააგდოს სამსახურიდან და აკაკი შანიძის ძეგლთან მეტანიების გაკეთება აიძულოს.

როდესაც სხვადასხვა კომედიური შოუს თანამშრომლებს მსახიობებს უწოდებენ, პირველ რიგში მსახიობები უნდა აღშფოთდნენ და მწერლებმაც უნდა იწუხონ ვიღაც ტიპებისთვის ამ ტიტულით მოხსენიების გამო.

ჟურნალისტებს გვაქვს საშუალება, დავცინოთ ჟუუუურნალისტებს, მაგრამ დანარჩენები სდუმან...

ბევრს აღარ გავაგრძელებ და უბრალოდ ვიტყვი – სანამ ნამდვილი განათლება და კულტურა არ გვექნება, მანამდე ქვეყანა მუდამ ყვავ-ყორნების საჯიჯგნი იქნება.

წერილს კი საქართველოს პრეზიდენტისადმი პოლიტდევნილობაში მყოფი ქართველის ლევან მამალაძის მიმართვით დავასრულებ:

საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია ისტორიული გადაწყვეტილება მიიღოს, დაასრულოს საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესი!

სასურველია საქართველოს პრეზიდენტმა შეწყალების ფართო აქტი გამოსცეს, არ შეიძლება შეწყალება მხოლოდ ერთ კაცზე იყოს მორგებული!

საქართველოს პრეზიდენტს კონსტიტუციის თანახმად, შეწყალების შეუზღუდავი უფლება გააჩნია. ევროკავშირის მონაწილეობით შედგენილი პოლიტიკური შეთანხმების საფუძველზე პრეზიდენტმა განაცხადა , რომ შეიწყალებს გიორგი რურუას,მიუხედავდ იმისა, რომ ის არ არის პოლიტპატიმარი. პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ მასზე ზეგავლენას შეწყალების საკითხში ვერავინ ვენ მოახდენს. ბოლო ორი წელია, შეწყალება მხოლოდ პოლიტიკური გარიგების საფუძველზე ხდება, რაც პრეზიდენტის ინსტიტუტს სერიოზულ ჩრდილს აყენებს. გასაგებია, რომ პრეზიდენტს, არსებული ვითარებიდან გამომდინარე არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება უწევს, მაგრამ ასეთი ზეწოლის შედეგად გაკეთებული შეწყალება საზოგადოებაში ძალიან ცუდად აღიქმება. პოლიტიკური შეთანხმების შესრულებაზე პრეზიდენტი უარს ვერ იტყვის, მაგარმ მას შეუძლია მარტო რურუაზე კი არ გამოსცეს შეწყალების აქტი, არამედ შეიწყალოს სხვებიც, პირველ რიგში კი, ყველა ის პირი, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის მიერ იყვნენ რეპრესირებულნი და მათ მიმართ სამართლიანობა დღემდე არ აღდგენილა. ამ ადამიანების განცხადებები პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კარგახანია დევს.

მივმართავ საქართველოს პრეზიდენტს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს!

შეწყალების აქტი, არამარტო ერთ პირზე გაავრცელოთ, არამედ გაკეთდეს სია, სადაც პირველ რიგში შეყვანილი იქნებიან მსჯავრდებულნი, რომელთა მიმართ სასამართლო გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2012 წლის 11 ოქტომბრამდე.

ასეთი შეჯერებული გადაწყვეტილება პრეზიდენტის თავისუფლების მაჩვენებელი იქნება, რაც საზოგადოებაში დადებითად აღიქმება, ვიდრე ერთი პირის პოლიტიკური გარიგებით შეწყალება! თქვენ რეალური შესაძლებლობა გაქვთ, დაასრულოთ სამართლიანობის აღდგენის პროცესი საქართველოში!

* * *

ᲓᲘᲐᲮ, არა მხოლოდ ჩემი, ფართო საზოგადოების თხოვნაა, რომ ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ბერკეტი, რათა სამართლიანობის აღსადგენად რეალური ნაბიჯი გადაიდგას.



რეალური ნაბიჯი, რადგანაც ჟორიკა რურუას, ნიკანორ მელიას, უგულავას და სხვა მსგავსი არამზადების პრეზიდენტის ხელით გათავისუფლება, საზოგადოებაში ამ მართლაც მნიშვნელოვანი ბერკეტის დისკრედიტაციას იწვევს. **არადა, საქართველოს მოსახლეობას ნამდვილად არ სურს, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს და მის შესაძლებლობებს, რაიმე ჩრდილი მიადგეს.**

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲩᲘᲫᲔ

„ᲔᲠᲗᲝᲑᲐ, ᲠᲐᲝᲑᲐ, ᲘᲛᲔᲓᲘ“...

ᲠᲐᲘᲜᲓᲘ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐᲐ

(ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

მთავარ მიზეზად ქვეყანაში არსებული ვითარებისა, მე არ მიმაჩნია პანდემიაც კი, რომელიც უსათუოდ არის ძალიან მძიმე დარტყმა ჩვენ ეკონომიკაზე, ისევე, როგორც ყველა ქვეყნის ეკონომიკაზე. ჩვენ ვართ ბევრად უარესად, ვიდრე ვიქნებოდით, პანდემიის მიუხედავადაც კი, რომ არა ის დესტრუქციული პოლიტიკური რეფორმა, რომლის შედეგადაც, პრაქტიკულად, ქვეყანაში მოშლილია სახელისუფლებო გადაწყვეტილებების მიღების მწყობრი სისტემა“, – თქვა ლევან ვასაძემ.

ვასაძის თქმით, პოლიტიკაში მოსვლა ეს მისთვის ნამდვილად არასასურველი და მძიმე ნაბიჯია.

„ბოლო წვეთი იყო დანიელსონის დოკუმენტად ცნობილ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა როგორც „ქართული ოცნების“ ისე გაერთიანებული ოპოზიციის უმრავლესობის მხრიდან“, – აღნიშნა მან.

ვასაძე მიიჩნევს, რომ დოკუმენტი ქვეყნის სუვერენიტეტს ხელყოფს და ამცირებს.

* * *

ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲯᲐᲑᲘᲠᲐᲫᲔ** ამბობს, რომ იმ პირობებში, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში 43% უნდა აიღოს, ლევან ვასაძის გამოჩენა მმართველი გუნდისთვის არცთუ კარგია, რადგან, ვასაძის ამომრჩეველი პრაქტიკულად ისაა, ვინც დღეს ხელისუფლებას უჭერს მხარს. თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ „რაინდს“ დიდი პოლიტიკური პერსპექტივა არ გააჩნია.

„ვასაძის პოლიტიკაში მოსვლა მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან მას რამდენჯერმე ჰქონდა მცდელობა საზოგადოებრივი აქტივობისა. როგორც ჩანს, რომ დადგა დრო მისი აქტივობისა. არ ვთვლი, რომ ვასაძის გამოჩენა რაიმე რადიკალურ ცვლილებებს გამოიწვევს, არ მგონია, რომ მას დიდი პერსპექტივა ჰქონდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ 43%-ის აღება სჭირდება, ამ მხრივ მმართველი გუნდისთვის ვასაძის გამოჩენა მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის, ეს იმ შემთხვევაში, თუ ვასაძე მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში.

დიდ წარმატებას არ ველოდები, დაახლოებით ერთი პროცენტის ფარგლებში თუ იქნება მისი მონაპოვარი, მაგრამ ეს ის ხმები იქნება, ძირითადად, ვინც არის „ქართული ოცნება“ ან მის ორბიტაზე მყოფი. ეს ვერ იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი ხმები. მესამე ძალას რომ ეძახიან, შეიძლება იქიდან ვინმე გადმოვიდეს ვასაძის მხარეს, მაგრამ სერიოზული პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას ვასაძის ხელძღვანელობით ან ლიდერობით, ნამდვილად არ ველოდები.

ვასაძემ შესაძლოა კენჭი იყაროს თბილისის მერობაზე. შეიძლება ის გახდეს კონკურენტი გარკვეულწილად, მაგრამ დიდ წარმატებას ამ შემთხვევაშიც არ ველოდები მისგან“, – განაცხადა ძაბირაძემ.

ანალიტიკოსი **ᲖᲐᲐᲚ ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ** აღნიშნავს, რომ ლევან ვასაძეს საზოგადოების დიდი ნაწილი კარგად იცნობს და შესაძლოა, მან პირდაპირ ხმების მოპოვებაზე იფიქროს. მისივე თქმით, ვასაძის ელექტორატი საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება.

„ვასაძე საზოგადოების იმ ნაწილის წარმომადგენელია, რომელიც შეადგენს ტრადიციულ თუ კონსერვატიულ ნაწილს, ეს კი ჩვენი საზოგადოების უმრავლესობაა. ასეთი ტიპის პოლიტიკოსებს ყოველთვის ექნებათ ფართო გასაქანი, მით უმეტეს ვასაძე თავისი საზოგადოებრივი ფიგურის რანგში, მოღვაწეობით ერთგვარი ნიადაგი მოთელა და ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა იმისათვის, რომ მდორედ შემოსულიყო პოლიტიკაში.

მას ჰყავს გარკვეული რაოდენობის მხარდამჭერები, ასეთი კატეგორიის საზოგადოებრივ სეგმენტში. ის არ იქნება ისეთი პოლიტიკოსი, როგორიც არიან მაგალითად ისეთები, საკუთარ თავს პოლიტიკოსებს რომ უწოდებენ, სინამდვილეში კი მანდატი არა აქვთ და ნულოვანპროცენტიანი პოლიტიკოსები არიან. ვასაძე მოიპოვებს მხარდაჭერას, დიდი ალბათობით, ვიხილავთ მისი და მისი პარტიის მხრიდან ლიბერალურ ღირებულებებზე შეტევის კამპანიებს.

იგი, ალბათ, გაატარებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იქნება იქითკენ, რომ საქართველოს ჰქონდეს მრავალვექტორიანი საგარეო პოლიტიკა. ერთი მხრივ რუსეთთან ურთიერთობის დაწყობა, მეორე – დასავლეთთან არსებული ურთიერთობის შენარჩუნება.

მას შეუძლი თავისკენ წაიყვანოს ამომრჩევლის სეგმენტი, რომელიც მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას.“ თუმცა, ასევე გააჩნია რა მესიჯებს გააჟღერებს, როგორი ადამიანებით წარდგება საზოგადოების წინაშე. ვასაძის უპირატესობა ის არის, რომ ზედმეტი წარდგენა არ სჭირდება, მას უკვე საზოგადოება საკმაოდ კარგად იცნობს, შეიძინა გარკვეული ცნობადობა. ამ მხრივ მას დროის დაკარგვა არ დასჭირდება და ის უკვე პირდაპირ დაიწყებს ელექტორატზე მუშაობას“, – განაცხადა ანჯაფარიძემ.

ერთი წელი რომ დასცლოდა სააკაშვილს, დავითგარეჯა მთლიანად დაგვეკარგებოდა

„დავითგარეჯას საკითხზე შევთანხმდით, რომ დიალოგი გაგრძელდება, დაჩქარდება და ძალიან მალე გადაწყდება ისე, როგორც ჩვენს ძმობას და მეგობრობას შეეფერება“, — განაცხადა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ქვეყნის პრემიერმა **ირაკლი ღარიბაშვილმა**, რომელმაც **ილჰამ ალიევთან** შეხვედრისას, რეგიონში არსებული ვითარება და მათ შორის უსაფრთხოების საკითხები განიხილა.

„ჩვენ ასევე განვიხილეთ დავითგარეჯას საკითხიც, ბუნებრივია, შევეხეთ ამ პრობლემას, შევთანხმდით, რომ დიალოგი გაგრძელდება, დაჩქარდება და ძალიან მალე გადაწყდება ისე, როგორც ჩვენს ძმობას და მეგობრობას შეეფერება. კომისიები გააგრძელებენ მუშაობას ძალიან მალე და მოგვიანებით გახდება ცნობილი უფრო კონკრეტულად“, — დასძინა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც ცნობილია, დავითგარეჯას საქმეში მოიპოვეს დოკუმენტები, ახალი კარტოგრაფიული მასალები, რომლითაც საბოლოოდ დადგინდა, რომ 2006-2007 წლებში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ სახელმწიფო სასაზღვრო ხაზის გამყოფად აღებული ტერიტორიები სრულ ცდომილებაშია ობიექტურ რეალობასთან. სწორედ, ამ წლებში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოხდა მთლიანად საზღვრის გამრუდება. მაშინდელ ხელისუფლებას არ ჰქონდა პოლიტიკური ნება იმისა, რომ საკითხი საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო.

საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც პრემიერთან ერთად იმყოფებოდა აზერბაიჯანში, აცხადებს, რომ ორივე მხრიდან არის ნება იმისა, რომ ეს საკითხი რაც შეიძლება სწრაფად მოგვარდეს, ისე, რომ არ დაზიანდეს არც ქართული და არც აზერბაიჯანული მხარის ინტერესი. **დავით ზალკალიანის** განცხადებით, პანდემიამ დემარკაცია-დელიმიტაციის კომისიის საქმიანობა შეაფერხა, თუმცა მზაობა არის, რომ რაც შეიძლება სწრაფად განახლდეს.

„ვისაუბრეთ, რა თქმა უნდა, ისეთ სენსიტიურ თემაზე, რაც დაკავშირებულია საზღვრის დემარკაცია — დელიმიტაციის საკითხთან. უმაღლეს დონეზე შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ ორივე მხრიდან არის მზაობა, ნება, რომ საკითხი რაც შეიძლება სწრაფად მოგვარდეს, ისე როგორც შეეფერება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობას. ისე როგორც შეეფერება ჩვენს ინტერესებს, ისე რომ არ დაზიანდეს არც ქართული მხარის, არც აზერბაიჯანული მხარის ინტერესი. ამის თქმის საფუძველს, რომ ეს მართლაც ასე იქნება, მაძლევს სწორედ შეხვედრები, სადაც კიდევ ერთხელ იქნა აღნიშნული, რომ საკითხი უსწრაფესად უნდა მოგვარდეს და ამისთვის მომავალში კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება“, — აცხადებს **დავით ზალკალიანი**.

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით, პრემიერის ბაქოში ვიზიტს გამოეხმაურა საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი **ანდრია ჯაღმაიძე,** რომელმაც ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, რომ მოვიდა საიმედო სიგნალი, რომ ეს მოლაპარაკებები სასიკეთოდ გადაწყვეტს სადავო პრობლემას. ირაკლი ღარიბაშვილის ბაქოში წარმატებული ვიზიტის ფონზე ექს-პრეზიდენტი „მთავარ არხთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მზად იყო უარი ეთქვა ზოგიერთ სტრატეგიულ სიმაღლეზე. **„ერთი წელი რომ დაგვცლოდა, გარეჯა იქნებოდა მთლიანად დაკანონებული, როგორც საქართველოს ნაწილი“,** — განაცხადა **მიხეილ სააკაშვილმა**.

ეს მაშინ, როდესაც 2007 წელს მიხეილ სააკაშვილმა ილჰამ ალიევთან შეხვედრის შემდეგ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განაცხადა, რომ ორი ქვეყნის პრეზიდენტმა საზღვართან დაკავშირებით, შეთანხმებას მიაღწია.

„ჩვენ შევთანხმდით, რომ საზღვრის ხაზი უნდა გაივლოს ისე, რომ სტრატეგიული სიმაღლე, რომელიც აზერბაიჯანს ქვეყნის შიგნით სჭირდება, აზერბაიჯანის ტერიტორიაში მოჰყვეს. აქაა ორი საკითხი. ერთია სტრატეგიული სიმაღლის საკითხი, რომელსაც აზერბაიჯანისთვის სამხედრო მნიშვნელობა აქვს, მათი ქვეყნის შიდა უსაფრთხოებისთვის და მეორე მხრივ, გარეჯას მონასტერი, რომელიც არის უძველესი, უმნიშვნელოვანესი ქართული კულტურული და რელიგიური ძეგლი“, — აცხადებდა მიხეილ სააკაშვილი 2007 წლის მაისში.

სააკაშვილის ეს განცხადება, რომ აბსურდი იყო, ფაქტია, რადგან ფიზიკურად შეუძლებელია, რომ საზღვარი სტრატეგიულ სიმაღლეზე, ანუ ქედზე ისე გაივლოს, რომ ამავე ქედზე მდებარე ჩიჩხიტურის კოშკი და მით უფრო — ქედს მიღმა არსებული უდაბნოს მონასტერი 70-მდე ძვაბულით, საქართველოს ტერიტორიაზე მოექცეს. რაც შეეხება მის მორიგ განცხადებას — ერთი წელი რომ დაცლოდა, მზად იყო უარი ეთქვა ზოგიერთ სტრატეგიულ სიმაღლეზე, აბსურულს უწოდებენ უმრავლესობაში. როგორც მმართველი გუნდის წევრი, დავით მათიკაშვილი აცხადებს, ერთი წელი რომ დაცლოდა მიშა სააკაშვილს, დავითგარეჯი მთლიანად დაიკარგებოდა ჩვენი ქვეყნის შემადგენლობიდან და ეს ყველაფერი უკუღმა იძნებოდა. როგორც დეპუტატმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, დავითგარეჯა შესაძლოა, „ნაციონალური მოძრაობის“ დროს საერთოდ საქართველოს იურისდიქციიდან გასულიყო და ეს პროცესი „ძართულმა ოცნებამ“ შეაჩერა.

„მიშა სააკაშვილის პოლიტიკის შედეგია ძალიან ბევრი ცუდი რამ, რაც საქართველოში დატრიალდა. გარეჯთან მიმართებით სისხლის სამართლის საქმეზე, ცხადია, პასუხები გაცემული იქნება, მაგრამ არის ფაქტები, რომელიც საზოგადოებამ ისედაც ძალიან კარგად იცის. პროცესი მიდიოდა იქითკენ, რომ ამ ტერიტორიის ჩვენი იურისდიქციიდან გასვლა გამოეწვია.

ეს შეჩერდა სწორედ იმ აქტიური ქმედებებით, რაც ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ გაკეთდა. ძალიან დიდი იმედი მაქვს, ჩვენს სტრატეგიულ მეგობარ, მეზობელ სახელმწიფო აზერბაიჯანთან აუცილებლად მოიძებნება შემხვედრი გზები, რომელიც ამ პრობლემას ღირსეულად და სამართლიანად მოაგვარებს“, — განაცხადა **დავით მათიკაშვილმა**.

* * *

ორივე მხარისთვის მისაღებ შედეგს ელოდება პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე,** რომლის განცხადებით, ღარიბაშვილის დაპირება შეიძლება უფრო წარმატებულიც იყოს, რადგან ამ შემთხვევაში ელაპარაკება იმ ხალხს, რომლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დავითგარეჯა.

„არ ველოდებოდი ამ ვიზიტიდან წამოღებულიყო საკვანძო რამ და ამ კონკრეტული ვიზიტით გადაწყვეტილიყო საკითხი. ღარიბაშვილი ელაპარაკება თავის მოსახლეობას და გრძნობს პასუხისმგებლობას, ასევე არის ალიევიც. მოგეხსენებათ, რომ მიწის საკითხი მით უმეტეს ყარაბაღით გაწამებული აზერბაიჯანელებისთვის, ძალიან მგრძნობიარე საკითხია.

ამ საკითხში ცვლილებების შეტანა ძალიან ფრთხილად, ნელა და მშვიდად იქნება გასაკეთებელი, იმ შემთხვევაში თუკი აზერბაიჯანის მმართველები გადაწყვეტენ, რომ საქართველოს და სამართლის სასარგებლოდ გადადგან ნაბიჯები. ამიტომ, ალიევის სიფრთხილე გასაკვირი არ არის“.

* * *

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **რუსუდან თევზაძე** თვლის, რომ ვიზიტი შედგა სრულიად კეთილგანწყობილი თანამშრომლობის საფუძველზე და ის უმთავრესი მესიჯი, რაც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა თქვა, რომ ყველაფერი მოგვარდება ისე, რომ არც ერთი მხარე არ დაზიანდება, ნიშნავს იმას, რომ ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში იყო, არის და იქნება პრინციპული.

„საქმე ის გახლავთ, რომ გარეჯის თემის პოლიტიკურ კონიუნქტურაში გადაყვანა არაფრით არ შეიძლებოდა, მაგრამ გადაიყვანეს. იგივე მელაშვილის ასვლა გარეჯში, ეს არის ქვეყნის დისკრედიტაციისკენ მიმართული ქმედება. ნაციონალები მიხვდნენ, რომ ეს კვანძი სათავისოდ ვერ გახსნეს და კვანძი იხსნება სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ.

ამიტომ ახლა სხვა თამაშის წესზე გადავიდნენ, რომ თითქოს ისინიც აპირებდნენ ამ საკითხის მოგვარებას, უბრალოდ რაღაცა დრო დააკლდათ, რაზეც სააკაშვილი საუბრობდა. ეს არის რეაბილიტაციის უსუსური მცდელობა. ნებისმიერ საკითხზე „ნაციონალური მოძრაობა“ ბოლო წუთამდე იბრძოლებს ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში თავისი ავტონომიური პარტიული ბატონობის დასამკვიდრებლად. ეს იკვეთება ყველა მათ ქმედებაში“, — აღნიშნა რუსუდან თევზაძემ.

თამთა ქარჩავა

<u>მაია გოგოლაძე:</u> გააფთრებისგან სასოწარკვეთილ ჟურნალისტებზე...

ეს ფილმი დარჩება, როგორც სიმართლე გარეჯის შესახებ...

„ეს ფილმი დარჩება როგორც სიმართლე გარეჯის შესახებ.... და კიდევ: შეუძლებელია შეაშინო ის, ვისაც არ ეშინია, განსაკუთრებით მაშინ, როცა მართალია... ან უბრალოდ არ სჩვევია შიში“... — წერს სოციალურ ქსელში ჟურნალისტი მაია გოგოლაძე.

„ახლა ყური მოვკარი „მთავარ არხზე“ ეკა კვესიტაძე გარეჯის შესახებ გაკეთებულ ჩვენს ჟურნალისტურ გამოძიებას განიხილავდა და ამბობდა, საბჭოთა ჟურნალისტიკასაც შეშურდებოდა ასეთი პროდუქტიო... არა, უფრო პლაკატურად და დაშტამპულად თქვა, როგორც ასწავლეს პარტიულ მედიაში... სხვები კვერს უკრავდნენ...უბრალოდ გამეცინა და ძალიანაც არ გავბრაზებულვარ, რადგან შეუძლებელია გაბრაზდე გააფთრებისგან სასოწარკვეთილ ადამიანებზე, როცა ისინი სისულელეს ამბობებენ... ბრაზი ახშობს გონებას... რაც შეეხება ეკა კვესიტაძეს... ის ლამის მეორე ათწლეულია პარტიული ტელევიზიის წამყვანი ჟურნალისტია, უდანაკარგოდ არის შერწყმული ნაციონალურ მოძრაობასთან და ნამდვილად კლასიკური ნიმუშია საბჭოთა ყალიბის ჟურნალისტისა, ოღონდ ნაკლები კვალიფიკაცია აქვს, ვიდრე ბოლო ჟამის საბჭოთა ჟურნალისტებს ჰქონდათ... მისი შემეცნების წყარო ძირითადად ფეისბუქკორიფეების პოსტები და მათ მიერ ნებადართული იდეური კონტენტია, რაც მკაფიოდ ჩანს მის გადაცემებში... ასეა, პოლიტიკისადმი მსახურება აკნინებს ინტელექტს და კლავს რეალობის აღქმას. საბჭოთა სტანდარტი კი არის პარტიული ტელევიზია, ანუ „მთავარი არხი“ და მისი ჟურნალისტები, კვესიტაძის ჩათვლით. ფაქტიურად „მთავარი არხი“ თავად არის პარტია, რადგან ნაციონალური მოძრაობისგან „მთავარი არხის“ გარდა აღარაფერი დარჩა... ამიტომ მესმის ბრაზი, სასოწარკვეთა, საკუთარი მრუდე რეალობის კონსტრუირების სურვილი... და აქედან გამომდინარე — მდარე კონტენტი.

ახლა, რაც შეეხება ჩვენს ფილმს... პასუხს ვაგებთ მასში თქმულ ყოველ სიტყვაზე. ყველა ფაქტი ეყრდნობა უტყუარ დოკუმენტურ მასალას, ზედმიწევნით არის შესწავლილი და მრავალჯერ მრავალი საშუალებით გადამოწმებული, მასში არ არის პოლიტიკური ინტენციის ნიშან-წყალი, არის მხოლოდ გარეჯის კუთვნილების საკითხის ფაქტობრივი კვლევა, რომელმაც გარკვეულ დასკვნებამდე მიგვიყვანა... მართალი გითხრათ, ჩვენც არ მოველოდით ასეთ შედეგებს... ფაქტობრივად გამოიკვეთა, რომ მთელი ხელისუფლებები და მათი ჩინოვნიკები ნაბიჯ-ნაბიჯ კარგავდნენ გარეჯს და იმითაც არ იწუხებდნენ თავს, საკუთარი კომისიების მიერ შედგენილ რუკებზე დაეხედათ და ენახათ, სად და როგორ გაატარეს საზღვარი და რას კარგავს ამით საქართველო... დასკვნები არ მოეწონათ მათ, ვისი უშუალო წვლილიც არის იმაში, რომ უდაბნოსა და ჩიჩხიტურში საქართველოდან ფეხს ვეღარავინ დგამს... ფილმმა აღაშფოთა ნაციონალური მოძრაობა და მისით ნასაზრდოები საზოგადოება, მეცნიერები იქნებიან ეს, იურისტები, ჟურნალისტები თუ სხვანი... ასევე ისინი, ვისაც ფილმი არ უნახავს, მაგრამ კარგ ტონად მიაჩნია იმის მტკიცება, რომ გარეჯი არ არის საქართველო... მინდა ვკითხო ამ წონასწორობადაკარგულ საზოგადოებას: რატომ აღეგზნენ ასე უკიდეგანოდ და რატომ უნდათ ასე გავეშებით, რომ გარეჯი არ იყოს საქართველო?.. რა იმალება ამის უკან? ორი დღეა, არ წყდება საჯარო სივრცეში მათი აქტიურობა, გააფთრებული შეტევა საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ფილმის ავტორებზე: ფაქტების დამახინჯება, მანიპულატორული, სახელდახელოდ კონსტრუირებული კვლევის მცდელობა, უბრალოდ, უხეში ტყუილი, ცილისწამება, ლანძღვა, ბინძური ხრიკები და ასე შემდეგ... მათ სურთ ჩვენზე განახორციელონ მედიატერორი ან უბრალოდ საჯარო ტერორი, რაშიც ნამდვილად არიან გაწაფულები... თუმცა მთელი ეს ნიაღვარი ვერ შეცვლის იმ სიმართლეს, რომელიც სრულად არის წარმოჩენილი ჩვენს ფილმში, ვერ დააკნინებს მის მნიშვნელოვნებას... მე ვიტყოდი, პირიქითაც ხდება... ეს ფილმი დარჩება, როგორც სიმართლე გარეჯის შესახებ.... და კიდევ: შეუძლებელია შეაშინო ის, ვისაც არ ეშინია, განსაკუთრებით მაშინ, როცა მართალია... ან უბრალოდ არ სჩვევია შიში“...

FOR.GE

დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი უბედურება

ანტი-სისტემური ოპოზიცია და მისი მომსახურე მედია



პრესის (მედიის) თავისუფლების მსოფლიო დღემ, როდესაც ტრადიციულად მედიისადმი პატივისცემას და მხარდაჭერას გამოხატავენ, საქართველოში საკმაოდ უღიმღამოდ და უგერგილოდ ჩაიარა. ეს არც იყო გასაკვირი, ქვეყანაში არსებული მედიაგარემოდან გამომდინარე... სამწუხაროდ, პარტიულ-პოლიტიკური გავლენების ტყვეობაში მყოფ ქართულ მედიას, განსაკუთრებით კი ტელევიზიებს, ამ დღეს სატრაბახო და საამაყო არც არაფერი ჰქონდათ!

მედიის და გამოხატვის თავისუფლებამ, ისევე როგორც დემოკრატიის სხვა მონაპოვრებმა, საქართველოში იმდენად მახინჯი ფორმები მიიღო, რომ მედია ადამიანთა ობიექტური ინფორმირების ნაცვლად, ადამიანების დევნა-შევიწროების და პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად იქცა. ამას ლამის ყოველდღე ხედავს ჩვენი საზოგადოება, ხოლო მისმა არაერთმა წევრმა კი, პარტიული ტელევიზიების მხრიდან დევნა, რომ იტყვიან საკუთარ თავზე გამოსცადა და თან არაერთხელ!..

მას შემდეგ რაც „კოჰაბიტაციით“ მოსულიერებულმა „ნაცმოძრაობამ“ და მისმა განაყოფმა „ევროპულმა საქართველომ“ ზურგი გაიმაგრეს, მათ აქტიურად დაიწყეს საკუთარი მედია რესურსების შექმნა – გაძლიერება. ისინი კარგად უწყოდნენ, რომ „ქართულ ოცნებასთან“ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება სწორედ კონტროლირებადი ტელეარხებით დეზინფორმაციის ნიაღვარი და მოსახლეობის ფსიქიკაზე ზემოქმედება იქნებოდა. დღეს მათ მიერ კონტროლირებადი ტელეარხები, 2004 წელს მიღებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ამერიკულ მოდელზე დასმული კანონის პირობებში, თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. საზოგადოებისთვის ამომწურავი, მიუკერძოებელი და უტყუარი ინფორმაციის მიწოდება, რიგითი თვალსაზრისის და კომენტარის გამიჯვნა და ჟურნალისტის პროფესიული სტანდარტით დადგენილი წესები, მათთვის უკვე დიდი ხანია, აკრძალული ხილი გახდა.

2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, დღეს მასთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული არასამთავრობო ორგანიზაციებიც კი, სიმართლეს ვერ გაექცნენ და იძულებული გახდნენ თავიანთ ანგარიშებში ელიარებინათ , რომ **„ბოლო წლებში მედიაგარემო ნაკლებპოლარიზებული, თავისუფალი და პლურალისტურია, რომ უფრო ნაკლებად შეიმჩნევა პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან მედიაზე ზეგავლენა, ხოლო, მოსახლეობის დიდ ნაწილს მეტი ხელმისაწვდომობა აქვს ინფორმაციის სხვადასხვა, განსხვავებულ წყაროებზე“**.

მედიის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“-ს 2020 წლის ანგარიშში საქართველოს პოზიცია პრესის თავისუფლების ინდექსში უცვლელი დარჩა და 180 ქვეყანას შორის, კვლავ მე-60 ადგილზე ვართ, მაშინ როდესაც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პირობებში მე-100-ადგილზე ვიყავით. მთავარი რაც ამ დოკუმენტში არის ხაზგასმული, არის ის, რომ **„ქართული მედია პლურალისტური, თუმცა ჯერ კიდევ ძალიან პოლარიზებულია“**. ფაქტობრივად, ეს გახლავთ პასუხი სისტემატურად და მიზანმიმართულად განმეორებად ბრალდებებზე, თითქოს საქართველოში „მედია გარემო დამძიმდა“. ოპოზიციის მომსახურე ერთ-ერთი ტელეარხის ცნობადი წამყვანი ამის მიზეზად ასახელებდა, რომ ხელისუფლების წამომადგენლები ამ ტელეარხის გადაცემებში არ მიდიოდნენ. მას, ბუნებრივია, არ უთქვამს თუ რატომ შეწყვიტეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნულ ტელეარხზე მისვლა, მაშინ როდესაც რეგულარულად მონაწილეობდნენ, ვიდრე ტელეარხმა მკვეთრად არ შეცვალა სარედაქციო პოლიტიკა და რომ იტყვიან „წითელ ხაზებს“ არ გადააბიჯა. სხვათა შორის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ ანგარიშში ისიც ხაზგასმულია, რომ **„მფლობელები კვლავ ერევიან სარედაქციო პოლიტიკაში“**. ჩვენთან რატომღაც მედია თავისუფლად ითვლება, თუკი ის ხელისუფლებისგან არ კონტროლდება. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს თუ ვინ გაკონტროლებს და გიზღუდავს ჟურნალისტურ თავისუფლებას, ხელისუფლება თუ ტელეარხის მფლობელ-დამფუძნებელი?!

ქართულ მედიაზე მომზადებულ პრაქტიკულად ყველა კვლევაში ხაზგასმულია ჟურნალისტური კორპუსის დაბალი პროფესიონალიზმი, მედიასაშუალებების ფინანსური გაუმჭირვალობა და პოლიტიკური ინტერესები მედიის ფლობასთან დაკავშირებით. სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებს დღეს იმას, რომ მეტ-ნაკლებად ყველა მსხვილი მედიასაშუალება, განსაკუთრებით ტელეარხები, პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად გადაიქცნენ.

ამისთვის აღნიშნულ მედიებში დიდი ფული იდება, რომლის წარმომავლობაც კი გაუმჭვირვალეა და ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს ამა თუ იმ ტელეარხის რეალურ და ნომინალურ მფლობელებთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით ეხება ოპოზიციის მომსახურე სამ ყველასთვის ცნობილ ტელეარხს, რომლებიც გარდა იმისა, რომ პოლიტიკურ ინსტრუმენტებად იქცნენ, სისტემატურად არღვევენ ადამიანის უფლებას, ფლობდეს დროულ, ზუსტ და დაუმახინჯებელ ინფორმაციას. მეტიც, ამ ტელარხებმა დაიწყეს მათთვის და მათი სპონსორებისთვის არასასურველი ადამიანებისა თუ პოლიტიკური ოპონენტების დევნა, შანტაჟი, მათზე და მათი ოჯახის წევრებზე ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ტერორი, რომელიც გამოხატვის „თავისუფლებად“ ინათლება.

ამ ტელეარხების დაბალი პროფესიული და მორალური სტანდარტის მაგალითად წინასწარ შერჩეულ რესპოდენტებთან ე.წ. „ექსკლუზიური ინტერვიუებიც“ გამოდგება. ყველა უყურებს, თუ რა ხშირად აძლევენ ე.წ. „ოპოზიციურ არხებს“ ექსკლუზიურ ინტერვიუებს ხელისუფლებაზე სხვადასხვა მიზეზით განაწყენებული რესპოდენტები. ჟურნალისტი, რა თქმა უნდა, ხვდება, რომ რესპოდენტი დაინტერესებული პირია, შესაძლოა, პირადი ინტერესი ამოძრავებს და ცრუობდეს კიდეც, მაგრამ პოლიტიკური შეკვეთის შემსრულებელი, არათუ არ ამოწმებს ინფორმაციას, საკუთარ სუბიექტურ შეფასებებსაც უმატებს და შემდეგ დრამატულ ტონალობაში აწვდის აუდიტორიას.

ძალიან ნიშანდობლივია „ოპოზიციური ტელეარხების“ დამოკიდებულების და ტონალობის შეცვლა ე.წ. „ფანჩატურის ოპოზიციის“ იმ ნაწილთან, რომელმაც „საცივიდან თავის ამოყოფის“ შემდეგ პარლამენტში შესვლა გადაწყვიტა. ამ ტელეარხების „ჟურნალისტები“ უკვე აშკარად ცდილობენ მათ დამუნათებას და პრაქტიკულად ისე ექცევიან, როგორც ოპონენტებს. სავარაუდოდ, სხვა „დამსჯელი ღონისძიებებიც“ არ დააყოვნებს.

ბოლოდროინდელმა პროცესებმა პოლიტიკური კონფლიქტი მხოლოდ მცირედით განმუხტა. რადიკალური ოპოზიციის ბირთვი ჯერჯერობით კვლავ ქუჩაშია და შესაბამისად დეზინფორმაციის „საბრძოლო მზადყოფნაშია“ მათი მომსახურე მედიაც, რომელსაც, ალბათ, ყველაზე ნაკლებად ეკუთვნის პრესის თავისუფლების დღის მილოცვები.

ზაალ ანჯაფარიძე

აგროდიზელის ფასდაკლების ბარათები – ელექტრონულად

ფერმერების აგროდიზელით მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ფასდაკლების ბარათების მიღება ვებგვერდზე my.mepa.gov.ge რეგისტრაციითაა შესაძლებელი. პროგრამის ბენეფიციარი ელექტრონული ბარათით „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ ბენზინგასამართ სადგურზე აგროდიზელს შეღავათიან ფასად მიიღებს, – ამის შესახებ ინფორმაციას სოფლის განვითარების სააგენტო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, მიმდინარე წლის 10 მაისიდან, აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამაში ჩართვას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მეიჯარეებიც შეძლებენ.

პროგრამით სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელი ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც გააჩნიათ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა საძოვარისა. ასევე პირები, რომლებიც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირველად რეგისტრაციას, იჯარის რეგისტრაციას ანჰდა დაზუსტებას. პროგრამით მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალისწინებულია 1 ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, არაუმეტეს, 15, 000 ლიტრის ოდენობით საწვავის ფასდაკლების ბარათების გაცემა.

ნებისმიერი მოცულობის დიზელის ფასდაკლების ბარათების განაღდება შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით მოქმედ „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ 89 ბენზინგასამართ სადგურზე, ასევე მის საბითუმო ბაზებზე თბილისსა და სამტრედიაში.

პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში აჭარაში 20 მილიონი ლარის პროექტები განხორციელდება!

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული ახალი სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში შექმნილი სპეციალური კომისიის სხდომა ბათუმში გაიმართა.

„აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში განხორციელდება ურბანული პროექტები, რომელიც არის ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად და ეკონომიკის გასაძლიერებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპლექსური ღონისძიება. რეკორდულად მოკლე ვადებში მოხდა როგორც ამ ინიციატივის შემუშავება, ასევე კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების გატარება და დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე კვირაში თითოეულ მუნიციპალიტეტში განხორციელდება ძალიან მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები. პროგრამის ფარგლებში აჭარაში 20 მილიონის ღირებულების პროექტები განხორციელდება.

„დაგმარხავთ!“ „პოლონელებთან სექსი“ და...

თარჯიმნების სხვა შეცდომები, რომლებსაც კატასტროფა მოჰყვა

ზოგჯერ გუსტ და სწორ თარგმანგე იმაგე მეტია დამოკიდებული, ვიდრე მხოლოდ თანამოსაუბრის გაგება – ჩვენ გიამბობთ რამდენიმე შემთხვევის შესახებ, სადაც თარჯიმნის შეცდომას კატასტროფული შედეგები მოჰყვა.



არასწორი თარგმანის გამო სსრკ-სა და აშშ-ს შორის კინაღამ ომი დაიწყო!

სსრკ-ს ცკ-ის პირველი მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი ცნობილი იყო თავისი ფეთქებადი ხასიათით. საჯარო გამოსვლების დროს ის ხშირად იყენებდა გამოთქმებს, რომლებიც უცხოელი კოლეგებისთვის უცნობი იყო, ამიტომ, თარგმანის დროს ხშირად სირთულეები იქმნებოდა. მაგალითად, ფრაზა „ჩვენ დაგმარხავთ!“, რომლითაც ხრუშჩოვმა მარქსის თეზისი, რომ „პროლეტარიატი კაპიტალიზმის მესაფლავეა“ განმარტა, მთარგმნელმა სიტყვასიტყვით თარგმნა. წარმოიდგინეთ ამერიკელების რეაქცია ასეთი თავხედური მუქარის მოსმენისას.

„We will bury you!“ – ეს სიტყვები მსოფლიო მედიამ მყისიერად აიტაცა და კინაღამ ომის დაწყება გამოიწვია. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საბჭოთა დიპლომატებმა დროულად განმარტეს, რომ ეს ფრაზა უნდა ითარგმნოს როგორც „Ცუ თრფდდ იუ ზკუ-თუტე ფე ნწგკ აგტუკფდ“ ანუ ჩვენ დავესწრებით თქვენს დაკრძალვას. მოგვიანებით, ხრუშჩოვს თავისი სიტყვების გამო ბოდიშის მოხდა მოუწია. მან განაცხადა, რომ მუქარას არ გულისხმობდა, მხოლოდ აღნიშნა, რომ სოციალისტური რეჟიმი კაპიტალიზმის დასაფლავებას მოესწრება.

ბოდიშის მიუხედავად, ხრუშჩოვმა საკუთარი შეცდომიდან ვერაფერი ისწავლა. უკვე 1959 წელს, გაეროში სიტყვით გამოსვლისას, მან რუსული გამოთქმა მოიშველია და ამერიკელებს „კუზკინის დედის“ ჩვენებას დაპირდა. რა თქმა უნდა, თარჯიმანმა ვერც ეს გამოთქმა გაიგო და სიტყვასიტყვით თარგმნა – „we shall show you Kuzka’s mother“ ანუ „ჩვენ გაჩვენებთ კუზკას დედას“. შეერთებულ შტატებში ჩათვალეს, რომ იდუმალი „კუზკინის დედა“ სსრკ-ს ახალი ბირთვული იარაღია და ხრუშჩოვი მისი ამოქმედებით იმუქრება.

არასწორმა თარგმანმა 18 წლის ბიჭი ინვალიდად აქცია

1980 წელს, სამხრეთ ფლორიდის 18 წლის მკვიდრი, სახელად უილი რამირესი საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მოხვდა. ბიჭის დედა დარწმუნებული იყო, რომ მისი შვილი მოიწამლა, რადგან წინა დღეს უცნობ კაფეში ისაუზმა და მალევე ცუდად გახდა. ქალი ცდილობდა ექიმებისთვის თავისი ვარაუდის შესახებ ეთქვა, მაგრამ მათ ესპანური არ ესმოდათ, დედამ კი ინგლისური არ იცოდა.. თარჯიმნის ფუნქცია საავადმყოფოს თანამშრომელმა აიღო, მაგრამ მისი ცოდნაც არასაკმარისი აღმოჩნდა.

საქმე ისაა, რომ სიტყვა „intoxicado“, რაც ესპანურად „მოწამვლას“ ნიშნავს, თარჯიმანმა გაიგო, როგორც „intoxicated“, რაც ალკოჰოლს ან ნარკოტიკების გადაჭარბებულ დოზას უკავშირდება. ამის გამო ექიმმა გადაწყვიტა, რომ ბიჭი ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფება და მკურნალობაც შესაბამისი დანიშნა. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა კაცის მდგომარეობა გაუარესდა. მალე გაირკვა, რომ რამირესს ტვინში სისხლდენა ჰქონდა, რომლის თავიდან აცილება საჭირო მედიკამენტებით შეიძლებოდა. თარჯიმნის შეცდომამ რამირესის სხეულის სრული პარალიზება გამოიწვია და 18 წლის ბიჭი ინვალიდად აქცია.

დაზარალებულის ოჯახს რეკორდული კომპენსაცია – 71 მილიონი დოლარი გადაუხადეს, მაგრამ ვერანაირი ფული ვერ გამოისყიდის შეცდომას, რომელმაც ახალგაზრდა მამაკაცი სამუდამოდ ლოგინს მიაჯაჭვა.

თარგმანში შეცდომამ ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვა გამოიწვია

მსოფლიო ისტორიაში თარჯიმნის ყველაზე საბედისწერო შეცდომა პოტსდამის კონფერენციის შემდეგ, 1945 წლის 26 ივლისს მოხდა. იაპონიის იმპერიისთვის განკუთვნილ დეკლარაციაში ულტიმატუმის სახით იქნა წამოყენებული მოთხოვნა მეორე მსოფლიო ომში სრული კაპიტულაციის შესახებ. უარის თქმის შემთხვევაში, იაპონიას „სრული განადგურება“ ემუქრებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ჟურნალისტებმა იაპონიის პრემიერ მინისტრს, კანტარო სუძუკის ჰკითხეს, ამ თემაზე რას ფიქრობდა. პოლიტიკოსმა მოკლედ უპასუხა: „Mokusatsu suru“, რაც ერთ თარგმანში ნიშნავს „მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ“, ხოლო მეორეში – „ბრძნული სიჩუმე და პასუხის გაცემა“. სუძუკის ამ სიტყვებით სურდა ეთქვა, რომ იაპონიას ნაჩქარევი დასკვნების გაკეთება არ სურს და ჯერჯერობით ნეიტრალური რჩება.

მეორე დღეს, ყველა ამერიკული გაზეთი სავსე იყო სათაურებით, რომ იაპონიამ პოტსდამის კონფერენციის მოთხოვნების უგულვებელყოფა გადაწყვიტა. შედეგად, ამერიკელებმა თავიანთი უპირატესობის დასამტკიცებლად, მტრის ორ უდიდეს ქალაქს – ჰიროსიმას და ნაგასაკის ატომური ბომბები ესროლეს.

„ვოცნებობ პოლონელებთან სექსზე“

ჯიმი კარტერი და თარგმანის შეცდომა

თარჯიმნების საბედისწერო შეცდომების სიას უფრო პოზიტიური ნოტით დავასრულებთ. 1977 წელს აშშ-ს პრეზიდენტი ჯიმი კარტერი პოლონეთში, საქმიანი ვიზიტით გაემგზავრა. ისე მოხდა, რომ თეთრი სახლის 17 თარჯიმნიდან პოლონური არავინ იცოდა, ამიტომ პრეზიდენტს შტატგარეშე თანამშრომლის დაქირავება მოუწია.

ზოგადად, პოლონელებთან კარტერის გამოსვლა საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას დატოვებდა, რომ არა თარგმნის დროს მომხდარი შეცდომა. რატომღაც თარჯიმანმა ფრაზა „when I left the

United States“ ანუ „როდესაც მე წამოვედი შეერთებული შტატებიდან“ თარგმნა როგორც „როდესაც სამუდამოდ დავტოვე შეერთებული შტატები“... იმის ნაცვლად, რომ პოლონეთის კონსტიტუცია შეექო და მისთვის „ხალხისთვის ღირებული“ უწოდებინა, თარჯიმანმა მას „სიცილის მომგვრელი“ ეწოდა და მსმენელთა აღშფოთება გამოიწვია.

გამოსვლის კულმინაცია იყო კარტერის საუბარი პოლონელთა ოცნებებზე. „Desires“ ანუ „სურვილები“ ითარგმნა, როგორც „მამაკაცის სურვილი ქალის მიმართ“. ასე რომ, ამერიკის პრეზიდენტმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ „პოლონელებთან სექსზე ოცნებობდა“.

სკანდალური გამოსვლისთანავე, პოლონეთის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა აშშ-ს საელჩოს პრეტენზიების წერილი გაუგზავნეს. ყველასთვის გასაგები იყო, რომ პრობლემა თარჯიმანში მდგომარეობდა, მაგრამ ამან ვნებები ვერ დააცხრო. სამწუხარო შეცდომების გამო ამერიკელ დიპლომატებს დიდხანს უხდებოდათ პოლონელებისთვის ბოდიშის მოხდა.

იმედია, რომ ახლა უკეთ გვესმის, რომ უცხო ენების კარგად ცოდნა ბევრად უფრო საპასუხისმგებლო საქმეა, ვიდრე ბევრს ჰგონია. ზოგჯერ, არასწორი თარგმანის გამო, შეიძლება არა მხოლოდ გაუგებრობა, არამედ რეალური საერთაშორისო სკანდალიც მოხდეს.

თარგმნა „პროგრესნიუსმა“.

იერუსალიმში ვითარება იძაბება

ისრაელში, ალ-აქსას მეჩეთთან, პალესტინელებსა და სამართალდამცველებს შორის მომხდარი დაპირისპირების დროს დაშავებულთა რაოდენობა უკვე 200-ს აჭარბებს. მათ შორის, 205 პალესტინელი და ისრაელის პოლიციის 17 წარმომადგენელია.

დაპირისპირება თითქმის ერთი კვირაა გრძელდება. პალესტინელები აცხადებენ, რომ მუსლიმებისთვის წმინდა, რამადანის თვეში, ისრაელში მათმა ჩაგვრამ უფრო იმატა. სიტუაციას უფრო ართულებს ისრაელის სასამართლოს მოსალოდნელი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შესაძლოა, პალესტინელები სახლებიდან გააძევონ და მათი ქონება ებრაელებს გადასცენ. ალ-აქსას მეჩეთში, სადაც ათასობით პალესტინელი შეიკრიბა, მათ ისრაელის საწინააღმდეგო ფრაზების სკანდირება დაიწყეს, რასაც მწვავე დაპირისპირება მოჰყვა. მას შედეგ, რაც პალესტინელებმა პოლიციელებს სკამები, ფეხსაცმელი და ქვები დაუშინეს, სამართალდამცველებმა, მათ დასაშლელად, რეზინის ტყვიები და ხმოვან-მანათობელი ყუმბარები გამოიყენეს.

დაშავებულთა სამკურნალოდ საველე ჰოსპიტალის მოწყობა გახდა საჭირო. ალ-აქსას მეჩეთის კომპლექსი ერთ-ერთი წმინდა ადგილია როგორც ისლამის, ისე, იუდაიზმის აღმსარებელთათვის. ბოლო ერთი კვირაა, ვითარება გამწვავებულია მდინარე იორდანეს დასავლეთი ნაპირზეც.

ვისთვის იყო განკუთვნილი რუსულ-ჩინური იარაღი?

აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალებმა არაბეთის ზღვაში დაკავებული გემიდან დიდი რაოდენობით ჩინური და რუსული წარმოების იარაღი ამოიღო.

აშშ-ის სარაკეტო კრეისერმა, „მონტერეიმ“ არაბეთის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში საიდენტიფიკაციო ნიშნების გარეშე მცურავი გემი დააკავა. ჩხრეკის შედეგად, გემიდან ჩინური წარმოების ათასობით ავტომატი და რუსული წარმოების ანტი-სატანკო რაკეტები, ასობით ტყვიამფრქვევი, სნაიპერული შაშხანები, ყუმბარმტყორცნები და ოპტიკური სამიზნეები ამოიღეს. გემის ეკიპაჟი დაკითხვის შემდეგ გაუშვეს. ამჟამად ექსპერტები არკვევენ, თუ საიდან იყო გამოგზავნილი და ვისთვის იყო განკუთვნილი რუსული და ჩინური წარმოების იარაღი.

შავი ზღვა და საქართველო-უკრაინის მიზნები

◎ ანალიზი

კვლავ უცნობია, კონკრეტულად როდის შედგება საქართველოს პრეზიდენტის დაანონსებული ვიზიტი უკრაინაში, მაგრამ ცნობილია, რომ ვიზიტის ფარგლებში მხარეები შავი ზღვის უსაფრთხოებასა და ამ მიმართულებით NATO-სა და ევროკავშირის მაღალი დონის შეხვედრებზე ერთობლივი მიზნების წარდგენაზე ფოკუსირდებიან.

მართალია, საქართველომ ერთწლიანი პაუზის შემდეგ, უკრაინის საზღვრებთან რუსული სამხედრო ძალის კონცენტრირებისა და კრიტიკის ფონზე, კიევში ელჩი დააბრუნა, თუმცა უცნობია, უჭერს თუ არა მხარს საქართველოს მთავრობა სალომე ზურაბიშვილის მიდგომას, რომლის შესახებაც ფართო საზოგადოებამ ოფიციალური რელიზიდან შევიტყვეთ და მოხადენს თუ არა გალენას რელიზში გამოხატული პოზიციის სულისკვეთებაზე.

„ქალბატონ სალომეს გარკვეულწილად ვიცნობ, მიმუშავია მასთან და ვფიქრობ, თუ მან გადაწყვიტა, რომ ნაბიჯები გადასადგმელია, მას მთავრობა, მით უმეტეს, საგარეო საქმეთა სამინისტრო ვერ შეეწინააღმდეგება“, – ამბობს **„აძცენტთან“** თემის კომენტირებისას საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დამფუძნებელი წარსულში საქართველოს ელჩი უკრაინასა და რუსეთში **ვალერი ჩეჩელაშვილი**.

უკრაინაში აშშ-ის ყოფილი ელჩი, ანალიტიკური საბჭოს ევრაზიული ცენტრის დირექტორი **ჯონ ჰერბსტი** საერთო მიზნების კონტექსტში უკრაინისა და საქართველოს ინტერესების თანხვედრაზე ამახვილებს ყურადღებას:

„საქართველომ და უკრაინამ დემოკრატიული გზით სვლა და დასავლეთისკენ მიმართული საგარეო პოლიტიკა აირჩიეს. შედეგად, ორივე ქვეყანა რუსეთის მხრიდან უკიდურესი ზემოქმედების ობიექტი გახდა, მათ შორის, ვიხილეთ ომი და ტერიტორიის ოკუპაცია. საქართველოს და უკრაინას საერთო ინტერესები აქვთ, ერთობლივად იმუშაონ, რათა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას შეუწყონ ხელი. მორიგი გადაკვეთის წერტილი ორივე ქვეყნისთვის NATO-სა და ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოებისთვის გზების ძიებაა. გარდა ამისა, მათი საერთო ინტერესია, გაიზარდოს ზეწოლა მოსკოვზე, რათა დასრულდეს მათი ტერიტორიების ოკუპაცია და უკრაინის შემთხვევაში, დასრულდეს ომი დონბასში“.

„საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის“ უფროსი მკვლევარი **სტივენ ბლენკი** კი ამბობს“, რომ საერთო გამოწვევების წინაშე მყოფ ორივე ქვეყანას მხოლოდ მმართველობის სტილის გაუმჯობესებით აქვს თავდაცვის შანსი:

„რა თქმა უნდა, ამ ორ სახელმწიფოს შეუძლია, ერთად იმუშაონ რუსეთთან ომების სამხედრო გაკვეთილების გაზიარებაზე, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობასა და დაზვერვის მონაცემების გაზიარებაზე, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია, ორივე სახელმწიფომ გააგრძელოს რეფორმისა და დემოკრატიზაციის პროცესი, რაც ბოლო პერიოდში სერიოზულად შემცირდა. ორივე ხსენებული მიმართულებით მარცხი უფრო მეტ შესაძლებლობებს ქმნის რუსული დივერსიისთვის, რაც თავის მხრივ მეტ საფრთხეს უქმნის ორივე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. მხოლოდ თავიანთი მმართველობის გაუმჯობესების საფუძველზე აქვთ საქართველოსა და უკრაინას NATO-სა და ევროკავშირში გაწევრიანების და რუსეთისგან თავდაცვის შანსი“.

უკრაინა-საქართველოს მიერ უსაფრთხოების საკითხებზე (როგორც ორმხრივ, ასე მრავალმხრივ ფორმატში) ურთიერთქმედების გააქტიურების განზრახვასაც კი მიესალმება საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დამფუძნებელი **ვალერი ჩეჩელაშვილი**:

„ეს გვერდი, რომელსაც ორმხრივ ურთიერთობებში უღიმღამო პერიოდი შეიძლება ვუწოდოთ, რაც შეიძლება მალე უნდა გადავშალოთ და ახალი ეტაპი დავიწყოთ. თუ ეს ორივე მხარის შეთანხმებული პოზიციაა, ძალიან კარგია. ძალიან კარგი იქნება, თუ სალომე ზურაბიშვილი ვიზიტით ჩავა უკრაინაში და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება, პრეზიდენტი ზელენსკი ჩამოვიდეს საქართველოში – ეს უფრო ძლიერი გზავნილი იქნება საერთაშორისო საზოგადოებისადმი, რომ ჩვენი ურთიერთობები, შესაბამისად, ჩვენი „დუეტი“ ისევ მყარ ადგილს იკავებს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში“.

რაც შეეხება შავი ზღვის უსაფრთხოებას და ერთობლივ მიზნებს, ჩეჩელაშვილი შავი ზღვის აუზში NATO წევრი ქვეყნების არსებობაზე ამახვილებს ყურადღებას და იტოვებს იმედს, ვიზიტის ფარგლებში სამმხრივი ფორმატის პერსპექტივა გაანალიზდება.

ᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲡᲐᲑᲜᲔᲕᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲜ...

რატომ აკვირდებოდნენ ოპონენტები მადლენ ოლბრაიტის სამკაულებს?

ᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ მოღვაწე და აშშ-ის პირველი ქალი სახელმწიფო მდივანი იყო (1997-2001 წ), რომელმაც მანამდე ყველასთვის უცნობი, გულსაბნევების დიპლომატიური ენა შექმნა.

მისი სამკაულები მსოფლიოში იმდენად ცნობილი გახდა, რომ ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნებისა და დიზაინის მუზეუმში გამოფინეს. გამოფენას უზარმაზარი წარმატება მოჰყვა. ჟურნალისტებმა ოლბრაიტის „გულსაბნევების ენაზე“ საუბარი მას შემდეგ დაიწყეს, რაც გაეროში გამართულ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე, ქალბატონმა მადლენმა სადამ ჰუსეინის პოლიტიკის შესახებ დასმულ კითხვას, ნახევრად ხუმრობით უპასუხა: **„წაიკითხეთ ჩემი გულსაბნევები!“**

ოლბრაიტის ხასიათის გასაგებად, გირჩევთ ამ ფოტოს დახედოთ. კითხვაზე, რატომ ანიჭებს უპირატესობას დიდი ზომის გულსაბნევებს, რომელთა წონა ყოველწლიურად იზრდება, ოლბრაიტმა მთელი სერიოზულობით უპასუხა: „ჩემი გულსაბნევები ძალიან მძიმეა და ტანსაცმელს აზიანებს. უფრო დიდი გულსაბნევების შერჩევა მიწევს, რომ ეს ხვრელები დავფარო“. ყველაზე სასაცილოა, რომ ზოგმა დიპლომატმა ეს სიტყვები სიმართლედ მიიჩნია.

მოლაპარაკებების დროს, მისი კოლეგები და ოპონენტები მადლენის ძვირფასეულობას ყოველთვის ყურადღებით აკვირდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოდელის გარეგნობა არასოდეს ჰქონია, ოლბრაიტმა ყოველთვის იცოდა მამაკაცები როგორ მოეხიბლა. გულსაბნევებით ის ანიშნებდა, რა დამოკიდებულება ჰქონდა განსახილველი თემის მიმართ და როგორ ხასიათზე იყო, ზოგჯერ კი საკუთარ თავს და შექმნილ გარემოებებს დასცინოდა.

„დიდი რვიანის“ შეხვედრებზე, სადაც აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ერთადერთი ქალი იყო, ის ყოველთვის იკეთებდა მექსიკური ვერცხლის გულსაბნევს, რომელიც უსქესო ადამიანებს განასახიერებდა.

1994 წელს, სპარსეთის ყურეში ომის დაწყების წინა დღეებში მადლენ ოლბრაიტი, რომელიც ამ დროს გაეროში აშშ-ს მუდმივი წარმომადგენელი იყო, უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე გველის ფორმის გულსაბნევით გამოცხადდა – ეს იყო მისი პასუხი ერაყული პრესის კომენტარზე, რომლმაც მას „შეუდარებელი გველი“ უწოდა.

წიგნში „**Read My Brooches**“ (წაიკითხეთ ჩემი გულსაბნევები) რომლის გარეკანზე ქალბატონი ოლბრაიტი გამოსახულია მკერდზე ამერიკის სიმბოლოთი, ვკითხულობთ: **„ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ სამკაული ჩემი პირადი დიპლომატიური არსენალის ნაწილი გახდა“.**

გულსაბნევი, რომელიც ამერიკის სიმბოლოს განასახიერებს, საკმაოდ ორიგინალურია – თავისუფლების ქანდაკების თვალებში მინიატურული საათებია დამონტაჟებული, სადაც ერთი საათის ციფერბლატი ამოტრიალებულია. გულსაბნევი ოლბრაიტს საშუალებას აძლევდა თავის დახრისას დრო გაეგო და თანამოსაუბრესაც ამის საშუალებას ალევდა.

ყოფილი სახელმწიფო მდივანი თავის კოლექციას დემოკრატიულს უწოდებს, რადგან მასში ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული სამკაულები პრაქტიკულად არაა, მაგრამ ბევრია ძველმანების ბაზრობაზე შეძენილი გულსაბნევი. ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნებისა და დიზაინის მუზეუმში გამართული გამოფენის კურატორმა ოლბრაიტის გულსაბნევების კოლექციაზე ასეთი კომენტარი გაკეთა: **„ამ ექსპონატების უმეტესობა დამზადებულია იუველირების მიერ, რომელთა სახელები არ ვიცით. ამ ნამუშევრებს მნიშვნელობას არა მათი შემქმნელი, არამედ ის ფაქტი ანიჭებს, რომ ისინი სახელმწიფო მდივანმა აირჩია და საკუთარი დიპლომატიური ენისთვის გამოიყენა.“**

ეს გულსაბნევი მადლენმა სირიის პრეზიდენტ ჰაფეზ ასადთან შეხვედრისთვის გაიკეთა, რაც სირიულმა მხარემ ძალიან დააფასა. **(„ასადი“ სირიულად „ლომს“ ნიშნავს)**

ოლბრაიტს ცხოველების ფიგურები განსაკუთრებით მოსწონს. მაგალითად, კრაზანის ან კიბორჩხალის ფორმის გულსაბნევი შეერთებული შტატების უარყოფით დამოკიდებულებაზე მიანიშნებდა. გაჭიანურებული მოლაპარაკებებით გაღიზიანებას სახელმწიფო მდივანი ჩვეულებრივ, ლოკოკინის ფორმის გულსაბნევით გამოხატავდა. კუ მოთმინებისა და დეტალების ფრთხილად შესწავლისკენ მოუწოდებდა.

სამხრეთ აფრიკის იმდროინდელ პრეზიდენტთან, ნელსონ მანდელასთან შეხვედრაზე, სახელმწიფო მდივანმა აფრიკის კონტინენტის სიმბოლო – შავ-თეთრი ზებრას ფორმის გულსაბნევი გაიკეთა. მას შემდეგ, რაც აშშ-ს სპეცსამსახურებმა საკონფერენციო დარბაზში მოსასმენი აპარატურის აღმოჩენის შესახებ შეატყობინეს, ქალბატონმა ოლბრაიტმა ამერიკელი დიზაინერის ირაჯ მოინის დამზადებული, ხოჭოს ფორმის გულსაბნევი დაიმაგრა.

ოლბრაიტმა ლი სტეინის „ცეცხლოვანი მელა“ სამხრეთ კორეაში გამართულ შეხვედრაზე გაიკეთა, თითქოს იგრძნო, რომ მელა უხერხული მდგომარეობიდან გამოსვლაში დაეხმარებოდა. სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელსაც მიკროფონი გამორთული ეგონა, ოლბრაიტს განუცხადა, რომ მისი ვიზიტით აღფრთოვანებულია, რადგან საშუალება აქვს მის „მკვრივ და მოქნილ სხეულს“ შეეხოს.

„Well I have to have something to put these pins on“ (კარგია, ადგილი ხომ უნდა მქონდეს ამ გულსაბნევების დასამაგრებლად) – მიიღო ოლბრაიტისგან პასუხად. სახელმწიფო მინისტრი შექმნილი ვითარებიდან მელასავით ეშმაკურად გამოძვრა, – გაიხსენებენ მოგვიანებით შეხვედრაზე მყოფი ჟურნალისტები.

როდესაც ბილ კლინტონმა მადლენ ოლბრაიტი აშშ-ის სახელმწიფო მდივნად დანიშნა, მან კოსტუმზე ფეხსაცმელი მიიმაგრა და აღნიშნა, რომ დროა, ამერიკის მაღალი რანგის პოლიტიკაში მაღალქუსლიანმა ფეხსაცმელმა შეაბიჯოს. და ბოლოს, იხილეთ მადლენ ოლბრაიტის გულსაბნევების მცირე გალერეა.



თავი 8

გრძნობანი და ლტოლვანი

...ყოველთვის, როცა კი სექსუალური აღგზნებულობა დაბრკოლებას ხვდება დაკმაყოფილების გზაზე და არ ასცდება ამ გზას, ჩნდება განგაშის აფეთქება და იქმნება საერთო საგანგაშო მზადება.

* * *

...ვინც ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებას იცნობს, იმან იცის, რომ არცთუ ისე ძნელად არ ეძლევა სხვა რამ, როგორც რომ ერთხელ უკვე ნაგემ კმაყოფილებაზე დაუარება. ჩვენ, საკუთრივ, უუნარონი ვართ რისამე გამო უარის სათქმელად, მხოლოდ ერთს მეორეთი ვცვლით; რაიც დაუარებად გვეჩვენება, სინამდვილეში შეცვლის ანდა სუროგატის წარმოქმნაა.

* * *

საერთოდ ძნელი საქმეა გრძნობათა მეცნიერული ხერხებით კვლევა.

* * *

დანაშაულის გრძნობა ამბივალენტური კონფლიქტის ეროსსა და ნგრევასა ან სიკვდილს შორის მარადიული ბრძოლის არეკვლაა.

* * *

საგანგაშო მოლოდინი ნევროზის ბირთვული სიმპტომია, ის აგრეთვე შეიცავს ბირთვული სიმპტომის თეორიულ ნაწილს.

* * *

...დანაშაულის გრძნობა საქციელის ჩადენამდე წარმოიშვება და არ არის იმისი მიზეზი, პირიქით, საქციელის ჩადენა ხდება დანაშაულის გრძნობის შედეგად.

* * *

დანაშაულის შეგნება თავდაპირველად მშობელთა მხრიდან იყო შიში, უფრორე სწორად, ვაითუ მშობელთა სიყვარული დაეკარგათ, ამის მერე მშობლების შემცვლელად თანამედროვეთა გაურკვეველი მასა მოვიდა.

* * *

დანაშაულის გრძნობა, რაც დანაშაულებრივი საქციელის მერე ჩნდება, უფრორე მონანიებაა.

* * *

როგორც თვითონ სახელწოდება მოწმობს, სინდისი ის არის, რაიც ყოვლის უფრორე ცნობილი რამ არის.

* * *

სინდისი ლტოლვათა დაკმაყოფილებაზე დაუარებაა.

* * *

სინდისი მით უფრორე მკაცრი და ეჭვიანი ხდება, ვიდრე სათნომყოფელი ადამიანი, ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, სწორედ ის ადამიანები, ვინც მეტ სიწმინდეს მიაღწია, თავს ყოვლის უფრორე ბილწ ცოდვილად მიიჩნევენ.

* * *

ტაგუ სინდისის ბრძანებაა, რისი დარღვევისას წარმოიქმნება დანაშაულის საშინელი გრძნობა, ისეთივე გაუგებარი, როგორც რომ თავისი წარმოშობით არის უცნობი.

* * *

...ეგრეთ წოდებულ სინდისის ბირთვს შეადგენს „სოციალური შიში“.

* * *

სინდისი ჩვენი ცნობილი სურვილების დაუშვებლობის შინაგანი შეფასებაა; მაგრამ ყურადღება იმაზე მახვილდება, რომ ეს დაუშვებელობა არცრა მტკიცებულებას არ მოითხოვს, რაიც თავისთავად უდავოა.

* * *

შემზარაობა შემშინებლის ის ნაირსახეობაა, რასაც სათავე უდევს დიდი ხნის წინათ ცნობილსა და ჩვეულში.

* * *

პარადოქსულად ხმიანებს შემდეგი დასკვნა იმის თაობაზე, რომ პოეზიაში ბევრი რამ შემზარავი არ არის, რაიც ესეგვარი იქნებოდა, თუ ცხოვრებაში მოხდებოდა, და რომ პოეზიაში მრავალი ხერხია შიშის ზარის შთაბეჭდილების მომხდენი, რაიც მიუწვდომელია ცხოვრებაში.

* * *

თავიდანვე, როცა ცხოვრება თავის ზედამხედველობაში გვაქცევს, ჩვენში იზრდება პროტესტი აზროვნების კანონთა გარდაუვალობისა და ერთნაირობის წინააღმდეგ და რეალობის შემოწმების მოთხოვნათა წინააღმდეგ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №58, 65-66, 69-70, 71-72, 79-80, 89-90

გონება მტერი ხდება, რაიც ნეტარების არაერთ შესაძლებლობას გვასაკლისებს.

* * *

სუყოველი მოთხოვნილების შეუზღუდავი დაკმაყოფილება ჩნდება როგორც ცხოვრების წესის ყოვლის უფრორე მიმზიდველი ვარიანტი, მაგრამ ეს ნიშნავს ნეტარების გულისთვის სიფრთხილის უგულებელყოფას და ხანმოკლე დაკმაყოფილების შემდეგ დასჯას.

* * *

ჩვენ ისეგვარად ვართ მოწყობილნი, რომ ნეტარება შეგვიძლია მხოლოდ კონტრასტის შემთხვევაში და მცირედ თვით მდგომარეობით.

* * *

ტკბობა-ნეტარებას წყალჯავარად აქვს განსაკუთრებული ხასიათის ოდნავ მათრობელი გრძნობა. სილამაზის სარგებლიანობა სრულად კანთიელი არ არის, ამ სარგებლიანობის აუცილებლობა კულტურისთვისაც არ არის თვალსაჩინო და უკანასკნელს არ ძალუძს უიმისოდ იოლად წასვლა.

* * *

კულტურული ადამიანის სექსუალური ცხოვრება ძლიერ დამახინჯებულია და ისეთივე მომაკვდავი ფუნქციის შთაბეჭდილებას ქმნის, როგორც რომ ყბები ანდა თმა თავზე.

* * *

თვითონ ბედნიერება რაღაც მთლიანად სუბიექტურია.

* * *

და მაინც ის არის ბედნიერი, ვისაც ცხოვრებაში საყვარული ადამიანი ჰყავს.



„ყოველთვის სულ იმის ცდაში ვარ, რომ ადამიანში, ქალშიც და კაცშიც, უწინარესად, ხასიათის საუკეთესო თვისებები დავინახო“,

— აგრე იტყოდა ზიგმუნდ ფროიდი

ქართულად გადმოაქცია
გურამ გოგიაშვილმა

* * *

ცალკეული ადამიანის განვითარების პროცესში მთავარ მიზნად რჩება დაკმაყოფილების პრინციპის პროგრამა — ბედნიერების მისაღწევი გზის პოვნა; ადამიანთა საზოგადოებაში ჩართვა ან ამ ჩართვის ადაპტაცია თითქმის როგორც აუცილებელი პირობა, ისე გამოიყურება, რა პირობის შესრულებაც უცილოა ამ მიზნის მიღწევის გზაზე, ანუ ბედნიერების მოსაპოვებლად.

* * *

როს სუყოველივე კარგად მიდის, მაშინ ბედნიერებაც გარდაუვალია.

* * *

სანამ ადამიანს საქმე კარგად მისდის, სინდისიც მოსათმენია და „მეც“ ბევრ რასმე უშვებს; ხოლო თუ ამ ადამიანს თავს რამე უბედურება დაატყდება, ის თავის თავში იკეტება, შეიგნებს თავის ცოდვილობას, ამკაცრებს თავისი სინდისის მოთხოვნილებებს, თავშეკავებული ხდება და თავს მონანიებით ისჯის.

* * *

ბედნიერებისკენ ადამიანი არაერთ ფეხმისაწვდომ გზას მიჰყავს, თუმცაღა არცერთის გზა ბედნიერებამდე არ მიდის უცილობლად.

* * *

ბედნიერებაა, თუ ყმაწვილქალს უყვარხარ, რომელი ყმაწვილქალიც შენი რჩეული გახდა.

თავი 9

ადამიანი და მისი თვისებები

ადამიანი ცხოველია უცილობელი ბისექსუალური მიდრეკილებით.

* * *

საეჭვოა, რომ რაიმე ხერხით შეიძლებოდეს ადამიანის იძულება, რა არის თავისი ბუნება ტერმიტის ბუნებად გარდაქმნას, ის, ალბათ, მუდამ დაიცავს მასის ნების წინააღმდეგ ინდივიდუალური თავისუფლების მოთხოვნილებას.

* * *

დაუდევრობა, არასაიმედოობა, უწესრიგობა ყოველდღიურ საქმიანობაში ისეგვარია, რომ შეიძლება თქმა, ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებაა.

* * *

ადამიანი სულაც არა რბილი, სიყვარულის მთხოვნელი ქმნილებაა, რომელსაც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ძალუძს თავის დაცვა, უკეთუ თავს ესხმიან, შემაგულიანებელ მიზეზთა შორის უთუოდ უნდა ვიგულოთ აგრესიისადმი მისი მიდრეკილების არსებითი წილი. ამ მიზეზით მოყვასი მისთვის არა მარტო შესაძლო თანაშემწე ან სექსუალური საგანია, არამედ ის ცდუნების წყაროც არის, რისი მეოხებითაც ადამიანს ძალუძს თავისი აგრესიულობის ხორცშესხმა, იმისი შრომისუნარიანობის უფასოდ სარგებლობა, იმასთან შეუთანხმებლად იმისი სექსუალური მიზნით გამოყენება, იმისი ავლადიდების მიჩემება, იმისი დამდაბლება, დამცირება, გასატკივრება, დატანჯვა და მოკვლა.

* * *

იმისდა მსგავსად, როგორც პლანეტა ბრუნავს არა მარტო თავისი საკუთარი ღერძის გარშემო, არამედ ცენტრალური სხეულის გარშემოც, ცალკეული ადამიანიც, მისდევს რა თავის საკუთარ ცხოვრებისეულ გზას, მონაწილეობს მთელი კაცობრიობის განვითარებაში.

* * *

ადამიანი ფრიად თავისებური დიდებული ნაირსახეობაა პროთეზიანი ღმერთისა, როცა ის იყენებს სუყოველ თავის დამხმარე ორგანოს, თუმცაღა ის ორგანოები არ შესისხლხორცებია და ხანისად ბევრ სადავიდარაბოს უჩენს... თანამედროვე ადამიანი იმისდამიუხედავად, რომ თავის ჭკუით ღმერთს ჩამოჰგავს, თავს ბედნიერად მაინც ვერ გრძნობს.

* * *

როგორც რომ თითოეულ ინდივიდს ორი სწრაფვა აქვს — ინდივიდუალური ბედნიერებისადმი და კაცობრიობასთან ერთიანობისადმი — ისინი იძულებულნი არიან, რომ ურთიერთს ებრძოლონ, ასევე ინდივიდუალური და კულტურული განვითარების პროცესები ერთიმეორეში უნდა იბრძოლნენ და ერთმანეთს ფეხქვეშ ნიადაგს აცლიდნენ.

* * *

თუმცა მოწიფულმა ადამიანმა თავი გაცილებით ძლიერად იგრძნო და, ცხადია, აგრეთვე ცხოვრების ფათერაკთა შეცნობის უნარიც გაეზარდა, და სულაც არა უსაფუძვლოდ ასკვნის, რომ არსებითად ისეთივე უმწეო და დაუცველი დარჩა, როგორიც ბავშვობაში იყო, და რომ სამყაროს მიმართ ჯერეთ კიდევ ბალღია.

* * *

...სუყოველ ადამიანს აქვს თავისი საკუთარი ცხოვრების უფლება.

* * *

მხოლოდ ზრდასრული ადამიანი იმდენად ეშორისშორება ცხოველს, რომ შეურაცხყოფს სხვას, რაკი ცხოველის სახელს არქმევს.

* * *

გარედან დამცირებული ადამიანი თავს თავისი სულის თვითმპყრობელად გრძნობს.

* * *

ასაპი ქარაფშუტობისგან და ელეშუტეობისგან არ გვიცავს.

* * *

თავმომწონება თავის საზღვარს ჰოულობს მხოლოდ სხვის სიყვარულში, ამა თუ იმის სიყვარულში.

* * *

...ეს აგრერიგად მოხერხებული იქნებოდა, უკეთუ თითოეულ ადამიანს შეეძლებოდა თავისი ცხოვრებისეული გამოცდილების გამოხატვა ნიშანდობლივ ამბავთა და რჩევათა კრებულად. მაგრამ ადამიანი ერთი და იმავე დღის განმავლობაშიც არა რჩება ადამიანად, უკეთუ დღე-ღამეში 11 საათზე ნაკლებ დროში არ აგროვებს და არ იკრებს ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებებს. და მაშინ ყოველდღიურად ვიწყებთ ახალ ცხოვრებას. ბუნებრივია, ვიძენთ ახალ ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

* * *

...ვინც ცდის იმ მელოდიის გაანალიზებას, გულში არაყასიდად რომ ღიღინებს, ხშირადრე თავისთვის შეუმჩნევლად შეუძლია დადგენა, როგორც საერთო წესისა სიმღერის ტექსტსა და მოღიღინე პიროვნების კომპლექსს შორის.

* * *

სუყოველ შემთხვევაში დავიწყებას საფუძვლად უხალისობის მიზეზი უდევს.

* * *

ჩვენი მომავლის საუკეთესო იმედი, ანუ გენცი, ის არის, რომ ინტელექტი... თანდათან უსაზღვრო ძალაუფლებას იძენს ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. გონების არსი ის საწინდარია, რომ ის მაშინ, უსათუოდ, ღირსეულ ადგილს გამოუყოფს ადამიანურ გრძნობებსა და კიდევ იმას, რასაც ისინი განსაზღვრავენ. ოღონდ გონების ამ სუფევის საერთო უთუობა გახდება ყოვლის უფრორე მტკიცე გამაერთიანებელი კავშირი ადამიანებს შორის და გზას გაიყვანს მომდევნო გაერთიანებებისკენ.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

◎ რაგბი

პატივი დაგვდეს

ფრანგული **პრესის ინფორმაციით, 13 ნოემბერს „სამფეროვნები“ ბორდოში ტესტ-მატჩების სერიის პროგრამით საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლებენ, იქ, სადაც „ბორჯღალოსნები“ 2023 წლის მსოფლიო თასზე ფიჯის შეხვდებიან.**

იმავე პერიოდში სარაგბო სამყაროს ერთ-ერთი ლიდერი არგენტინისა (6 ნოემბერს) და ახალი ზელანდიის (20 ნოემბერს) გუნდებს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ მრისხანე მეტოქესთან შარშანაც უნდა გვეთამაშა, მაგრამ მაშინდელი სპარინგი კორონავირუსის პანდემიის გამო ჩაიშალა, მასთან აქამდე გამართული ერთადერთი უთანასწორო ბრძოლა კი მსოფლიოს თასის ეგიდით 7:64 წავაგეთ.

◎ ლეგიონერი

ნიჟნის საბაჟოზე...

როგორც **მოგეხსენებათ, „ტენერიფეს“ ქართველი ლეგიონერი გიორგი შერმადინი შესანიშნავად თამაშობს ესპანურ კლუბში და ლიგა ენდესას სეზონის საუკეთესო კალათბურთელის გამოსავლენად მიმდინარე გამოკითხვაში, რომელიც 17 მაისამდე გაგრძელდება, პირველ პოზიციას ინარჩუნებს, ქვეყნის რეგულარულ ჩემპიონატში კი კუნძულელები სწორედ მისი ძალისხმევით იკავებენ მესამე ადგილს გრანდების — „რეალისა“ და „ბარსას“ შემდეგ.**

საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ჩემპიონთა ლიგაშიც ღირსეულად გამოიყურებოდა, მაგრამ ნიჟნი ნოვგოროდში დაწყებული „რვათა ფინალის“ წინ გაუთვალისწინებელ დაბრკოლებას წააწყდა.

საუბარია კლუბის მენეჯერის დაუდევრობით საბაჟოზე შექმნილ გაურკვეველ ვითარებაზე, რის გამოც რუსმა მესაზღვრეებმა იგი დელეგაციის მიღმა დატოვეს. მართალია, დაახლოებით 24 საათში პრობლემა მოგვარდა და გუნდის ლიდერი პარტნიორებს შეუერთდა, მაგრამ, ეტყობა, რიტმიდან მაინც ამოვარდა, რამაც ფრანგულ სტრასბურგთან“ მეოთხედფინალში განვითარებულ მოვლენებზე ჰპოვა ასახვა.

შეხვედრის ბედი დამატებით დროში გადაწყდა, სადაც ბედმა მეტოქეს გაუღიმა — 88:86, თუმცა ჩვენმა თანამემამულემ 31 წუთში 19 ქულისა და 5 მოხსნის მოგროვება მაინც შეძლო. სამწუხაროდ, ეს წარმატების მოსაპოვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა და ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი უკვე ნაადრევად დაბრუნდა სამშობლოში.



◎ ძიუდო

მხარი აუბეს

კარგად **დაწყებული საქმე ღირსეულად გავაგრძელეთ ყაზანში, სადაც ძიუდოისტთა სალიცენზიო გრანდ სლემის სტარტზე, როგორც უკვე ვიუწყებოდით, 60 კილოში მოასპარეზე ლუხუმ ჩხვიმიანი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა და მის პატივსაცემად თათრეთის დედაქალაქში საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი აჟღერდა.**

ტურნირის მეორე დღეს რუსულ ტატამზე კიდევ ერთი „ჯვაროსნის“ **ნუგზარ ტატალაშვილის** ჯერი დადგა, რომელმაც 73 კილოში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გადამწყვეტი ბრძოლა მან დამატებით დროში იპონით მოუგო ბელარუს ვადიმ შოკას.

თანამემამულეთა ჯილდოებზე ნადირობა ბოლო დღეს მსოფლიოსა და ევროპის მესამეადგილოსანმა **ლუკა მაისურაძემ** (90 კგ) დააგვირგვინა, რომელიც ამჯერადაც ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

◎ ტოკიო — 2021

ფუჭი გასროლები



უკვე **კარგახანია, რაც ტოკიოს ოლიმპიადის საგზური თავისუფალ ჭიდაობაში სამმა ქართველმა ფალავანმა — გენო პეტრიაშვილმა, ელიზბარ ოდიკაძემ და ავთანდილ კენჭაძემ მოიპოვა.**

ასეთივე შანსი ჰქონდათ მათ თანაგუნდელებს — ოთარ გოგავას (57 კგ), მსოფლიოს ჩემპიონ ბექა ლომთაძესა (65 კგ) და ევროპის ვიცე-ჩემპიონ სანდრო ამინაშვილს (86 კგ), მაგრამ „ჯვაროსანთა“ აღნიშნულ ტრიოს არ გაუმართლა ბულგარეთის დედაქალაქში გამართულ უკანასკნელი სალიცენზიო ტურნირის წილისყრისას და ისინი იაპონური ფორუმის მიღმა დარჩნენ.

ასე რომ, ამჯერად ჩვენი დელეგაცია სპორტის საკულტო სახეობაში უჩვეულოდ მწირი რაოდენობით იქნება წარმოდგენილი.

რაც შეეხება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას, სოფიის ხალიჩაზე ოლიმპიური ლიცენზიების გარეშე დარჩნენ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი დავით ჩხარტიშვილი (60 კგ) და ბაკურ გოგოლი (77 კგ).

◎ ფეხბურთი

პოლონურ ტრიბუნებთან

მაშ **ასე — 26 მაისს პოლონეთის ქალაქ გდანსკში ევროპალიგის ფინალში ერთმანეთს „მანჩესტერი“ და „ვილიარეალი“ შეხვდებიან და მატჩს სტადიონის ტევადობის მეოთხედი — დაახლოებით 9,5 ათასი გულშემატკივარი დაესწრება.**

მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში „სიტი“ და „ჩელსი“ გავიდნენ, დიდი იყო ალბათობა, რომ რანგით მეორე ტიტულიც ინგლისურ კლუბებს გაეთამაშებინათ ერთმანეთში, თანაც ამ შემთხვევაშიც ლონდონურ და მანჩესტერულ გრანდებს, მაგრამ ვალენსიელებმა დანარჩენი ევროპის პრესტიჟი იხსნეს და პირველი ბრძოლის მოკრძალებულად — 2:1 მოგების კვალად „არსენალთან“ გამართულ გასვლით საპასუხო რაუნდში სასურველი ზავი გააფორმეს — 0:0.

რაც შეეხება მათ მომავალ მეტოქეს, სულშერის შეგირდებმა დასკვნითი აკორდისკენ დიდი ნაბიჯი „რომასთან“ შინ მიღწეული სოლიდური უპირატესობით გადადგეს — 6:2 და ამჯერად მარადიულ ქალაქში თავს ნახევარი ძალით ბურთაობის ფუფუნება მისცეს — 2:3.

აღსანიშნავია, რომ ესპანელთა თავკაცი უნაი ემერი მეხუთედ შეეცდება მწვრთნელის რანგში ევროპალიგაზე ტრიუმფს. წინა ოთხი შანსიდან ბასკმა სპეციალისტმა სამჯერ მიაღწია მიზანს „სევილიასთან“ ერთად, ხოლო მეოთხედ წარუმატებლად ათამაშა „არსენალი“ „ჩელსისთან“.

რადგან „არისტოკრატები“ ვახსენეთ, დავძენთ, რომ, ვაჟთა მსგავსად, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ამ კლუბის ქალებიც გავიდნენ, სადაც „ბარსელონა“ ელოდებათ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები საუკეთესო სურვილებით ულოცავენ დაბადების 70-წლიან იუბილეს თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების გამოჩენილ მცველს, თასების თასის, სსრკ თასისა (ორგზის) და „კარაველას“ თასის“ მფლობელს, ქვეყნის ჩემპიონს, ვერცხლისა და ბრინჯაოს (ოთხგზის) პრიზიორს, ხალხთა სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონს

შოთა ხინჩაგაშვილს...

სადარბაზო ბარათი: დაიბადა 1951 წლის 9 მაისს. კარიერა: „მეტალურგი“ (რუსთავი) — 1968-69 წწ. „დინამო“ (თბილისი) — 1970-82 წწ.

სსრკ ნაკრები — 11 მატჩი.

საკავშირო ჩემპიონატში ჩაატარა 242 შეხვედრა, საბჭოთა კავშირის თასზე — 33 მატჩი (1 გოლი, ისიც ლევ იაშინის კარში), აგრეთვე 73 საერთაშორისო შეხვედრა, მათ შორის 33 — ევროტურნირებზე.

ხუთჯერ დაასახელეს 33 საუკეთესოში, მათ შორის ორჯერ — პირველ ნომრად.

კვირაცხოვლობის მადლი მთელი ერთი კვირა გრძელდება



9 მაისიდან 16 მაისის ჩათვლით საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს კვირაცხოვლობის მადლიან დღეებს...

...აღდგომის კვირას იესო ქრისტემ ყველა მოციქული ნახა, თომას გარდა. თომა გვიან მოვიდა, მოწაფეებმა უთხრეს: „ჩვენ უკვე ვნახეთ უფალი!“ მაგრამ ურწმუნო თომამ არ დაიჯერა. ერთი კვირის შემდეგ მოწაფეები ისევ შეიკრიბნენ, თომაც მათთან ერთად იყო. იესო ქრისტე კვლავ გამოეცხადა და უთხრა: „მშვიდობა თქვენ“. მერე კი თომას მიმართა: „მომეცი ხელი და შეახე ჭრილობას ჩემი გვერდისას და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ იყავი მორწმუნე.“

საგულისხმოა, რომ, რაც გადმოცემაში წერია ისე მოიქცა თომა, მან შეჰღაღადა უფალს. უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო.

იესო ქრისტემ კი უთხრა: „შენ ირწმუნე, რადგანაც მნახე, მაგრამ ნეტარ არიან ისინი, რომლებმაც არ მიხილეს და მირწმუნეს“.

მოციქულ თომას კვირას, დღესასწაულზე, ლიტურგიაზე იკითხება სათანადო მონაკვეთები სახარებიდან. ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში ტაძარში მორწმუნეებს ურიგებენ საგანგებოდ გამომცხვარ პურ „არტოსს“.

ნიშანდობლივია, რომ არტოსი კურნავს სულს და ხორცს... სრულიად საქართველოს შეეწიოს კვირაცხოვლობის მადლი.

გიული ლიპარტია

ნიგნად აკინძული ნიჭიერ ქალთა გალერეა

საქართველოში ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ნინო რეხვიაშვილის ავტორობით გამოცემულ წიგნებს და ყოველთვიურ რეგიონალურ ჟურნალებს „რაჭველები“ და „სამეგრელოს“ არ იცნობდეს.

ახლახან მან სხვადასხვა დროის, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ნიჭიერ ქალთა გალერეას მიუძღვნა, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ორტომეული წიგნი: **„საქართველოს მარგალიტები“** და **„სამყაროს სამკაული“**, რომლის წარდგინებაც ბზობის დღესასწაულზე არტოს ბაღში გაიმართა.

ღონისძიება გახსნა ამ შესანიშნავი წიგნის ავტორმა და ვრცლად ისაუბრა ლიდერი ქალების ღვაწლზე. ორივე წიგნი მიმოიხილა გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ რედაქტორის მოადგილემ ნანა ჭიჭინაძემ.



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთ „შირაქის“ მთავარმა რედაქტორმა ინგა შიოლაშვილმა, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა წიგნების წარდგინებაზე, სიამაყით აღნიშნა, რომ რაიონიდან სამი ღვაწლმოსილი ადამიანი არის წარმოჩენილი და ამ წიგნების წარდგენას დედოფლიწყაროშიც, ფიროსმანის სკვერში ღიაცის ქვეშ ჩაატარებენ მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით და მიიწვევენ ნინო რეხვიაშვილს.

სიტყვით გამოვიდნენ ასმათ ტყაბლაძე, ნაზი სარჯველაძე და სხვ. წარდგინებას დიდ ხიბლს მატებდა ანსამბლ „ჯაბადარის“ მიერ შესრულებული ეროვნული ცეკვები (ხელმძღვანელი მარიამ ულენტი) და ანსამბლ „გვირილას“ სოლისტების მიერ გულში ჩამწვდომი პოპულარული ქართული და ნეაპოლიტანური სიმღერები (ხელმძღვანელი ერნა წიფურია).

მარიკა პოპიაშვილი

ზუგდიდში სპორტული კომპლექსის მშენებლობა დაიწყო

პროექტს აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს და მისი ღირებულება 11 მილიონ ლარზე მეტია. პროექტი ითვალისწინებს დიდი და მცირე საცურაო აუზების, ტრენაჟორების,ძალოსნობის, კრივის და ჭიდაობის დარბაზების მშენებლობას. იქვე განთავსდება ღია კაფე, მაღაზია და საკონფერენციო დარბაზი.

კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყობა. ახალ კომპლექსში შესაძლებელი იქნება ტურნირების გამართვა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. სამუშაოები მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო და 18 თვეში დასრულდება.



ბინას 500-ზე მეტ დევნილ ოჯახს გადავცემთ!

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორმა ბესარიონ სიმონიშვილმა თბილისში, მენაშენეების პროექტის ფარგლებში, იძულებით გადაადგილებული ოჯახების განსახლების მიზნით შესყიდული საცხოვრებელი ფართები მოინახულა და მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნო. ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

„წლის ბოლომდე, თბილისში ახალაშენებულ კორპუსებში ბინას, ჯამში, 500-ზე მეტ დევნილ ოჯახს გადავცემთ. 260 ოროთახიანი ბინის მშენებლობის ბოლო ეტაპზე გარკვეული შეფერხებები შეიქმნა, სწორედ ამიტომ, ადგილზე, პირადად გავეცანი ვითარებას და სამშენებლო კომპანიისგან მივიღეთ დაპირება, რომ 260-ვე ბინა, უახლოეს მომავალში, ორ ნაწილად, მაისისა და ივნისის თვეებში ჩაგვბარდება. ამ პროცესს ყოველდღიურ რეჟიმში გავაკონტროლებთ“, — განაცხადა ბესარიონ სიმონიშვილმა.

ჩვენი კულტურის დიდი დანაკარგი

კინორეჟისორი ბუბა ხოტივარი გარდაიცვალა

კინორეჟისორი და საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტი ბუბა ხოტივარი გარდაიცვალა. ის 74 წლის იყო.

ბუბა ხოტივარმა დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი; მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს ტელეფილმების სტუდიისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინორეჟისორად. 1986-1991წწ. ხელმძღვანელობდა „ქართული ფილმის“ ახალგაზრდულ შემოქმედებით გაერთიანება „ადამ და ევას“. 1988-1992წწ. იყო საქართველო-ინგლისის ერთობლივი ფირმა „მთვარის გლობუსის“ გამგეობის წევრი და დირექტორი, ხოლო 2004-2006წწ. კინოსტუდია „მემატიანეს“ დირექტორი. როგორც დამდგმელ რეჟისორს, გადაღებული აქვს დოკუმენტური და მხატვრული ფილმები: „ისლამი საქართველოში“, „ლეხაიმ!“, „მარკოზის სახარება“, „ლაზარეს თავგადასავალი“(ქართლოს ხოტივართან ერთად), „დიმიტრი II“, „ჩირიკი და ჩიკოტელა“.

პრემიერის სამძიმარი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** ქართველი რეჟისორის, ბუბა ხოტივარის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს და ოჯახს სამძიმარს უცხადებს.

„დიდ გულისტკივილს გამოვთქვამ ცნობილი ქართველი რეჟისორის ბუბა ხოტივარის გარდაცვალების გამო. იგი მრავალი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა ქართულ კულტურას და თავისი სიტყვა თქვა ქართული კინოს განვითარების საქმეში. თანავუგრძნობ ბუბა ხოტივარის ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს“, — წერს ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელ „Facebook“- ში.

ნამახვანში გაუჩინარებული ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა რამდენიმეკვირიანი უწყვეტი საძიებო-სამაშველო ოპერაციის შედეგად სოფელ ნამახვანში გაუჩინარებული ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

„სამძებრო-სამაშველო სამუშაოებში სულ ჩართული იყო 450 მეხანძრე-მაშველი, ოთხი მყვინთავი და 15 ნავი. ტერიტორიის დათვალიერება დრონების, ხოლო წყლის ფსკერის მონიტორინგი სპეციალური აპარატის — ექოლოტის საშუალებით მიმდინარეობდა“, — აღნიშნულია შსს-ს საგანგებო სიტუაციის მართვის სამსახურის განცხადებაში.

კახეთში, დაკარგული 22 წლის ბიჭი გარდაცვლილი ნახეს

თითქმის ერთკვირიანი ძებნის შემდეგ, თელავში დაკარგული ბიჭი, 22 წლის ნიკოლოზ რაზიკაშვილი გარდაცვლილი ნახეს. არსებული ინფორმაციით, მისი ცხედარი ქალაქგარეთ, ტყეში აღმოაჩინეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. ნიკოლოზ რაზიკაშვილი 3 მაისის საღამოს გაუჩინარდა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ექსპერტები გელათის გადახურვის ხარვეზებს შეისწავლიან

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა, მინისტრის პირველ მოადგილესთან, კახა სიხარულიძესთან და მოადგილე იოსებ ბაღათურიასთან ერთად, არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფთან გამართა მორიგი შეხვედრა, რომელზეც რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღეს.

შეხვედრაზე მინისტრმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ივნისში საქართველოში ჩამოვა იუნესკოს მაღალი დონის ექსპერტი, რომელიც გელათის ტაძარზე 2008 წელს შედგენილი პროექტის მიხედვით ჩატარებული ძირითადი ტაძრის გადახურვის სამუშაოს დროს დაშვებულ ხარვეზების შედეგად შექმნილ მდგომარეობას შეისწავლის.

ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რაც შეხვედრაზე მიიღეს, ექსპერტისთვის გასაგზავნი დოკუმენტაციის ნუსხის შედგენაა. გელათის სამონასტრო კომპლექსის შესახებ დოკუმენტაცია ექსპერტს საქართველოში ჩამოსვლამდე გაეგზავნება, რათა ის ამ მასალებს გაეცნოს და საქართველოში ვიზიტისთვის მოემზადოს. შეხვედრაზე ასევე გადაწყვიტეს, შეიქმნას სპეციალისტთა სამუშაო ჯგუფი, რომელიც გელათის ტაძრის დაზიანებული მხატვრობის პრევენციულ კონსერვაციას უზრუნველყოფს.

ასევე გადაწყდა, რომ სხვადასხვა ენიდან ითარგმნოს და ქართულად გამოიცეს უცხოური, ან ხელახლა გამოიცეს ქართული წიგნები, რომლებიც მოძველებულია ან ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და რომლებიც შეიძლება გამოიყენონ სახელმძღვანელოებად არქიტექტორ-რესტავრატორებისთვის.

ამასთან, შეხვედრაზე გადაწყვიტეს, რომ სამინისტროსთან არსებული არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფიდან, რომელიც უკვე რამდენიმე კვირაა გელათის საკითხზე მუშაობს, შეირჩევა რამდენიმე სპეციალისტი, რომელთაგან შედგება შესაბამისი კომისია და სწორედ ამ კომისიასთან გასაუბრებას გაივლიან ოსტატები.

ევროკავშირისა და საქართველოს ჰიმნების მუსიკალური კომპოზიცია

ეძსკლუზიურად ევროპის დღისთვის, ევროკავშირისა და საქართველოს ჰიმნების მუსიკალური კომპოზიცია შეიქმნა, – ინფორმაციას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ავრცელებს. როგორც „იმედინიუსს“ ევროკავშირის წარმომადგენლობაში განუცხადეს, კომპოზიცია საქართველოს ევროვნული ჰიმნისა და ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის უკანასკნელი ნაწილის ორიგინალური შერწყმაა.

კომპოზიცია ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნულმა სიმფონიურმა ორკესტრმა და მისმა სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა, ნიკოლოზ რაჭველმა შექმნეს. კომპოზიციის შესრულებაში მონაწილეობა 100-ზე მეტმა მუსიკოსმა მიიღო, მათ შორის გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო კაპელამ ზვიად ბოლქვაძის ხელმძღვანელობით, ახალგაზრდა, გამორჩეულმა კომპოზიტორმა და პიანისტმა ცოტნე ზედგინიძემ და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლეებმა და სხვა.

ნახატის რეკორდული ნიშნული

ალორძინების ხანის იტალიელი მხატვრის, ლეონარდო და ვინჩის მიერ მცირე ზომის ფურცელზე დახატული „დათვის თავის“ ღირებულებამ 416.7 მილიონს მიაღწია.

ნახატი, რომელიც 7 სმ/7სმ ზომის ფურცელზეა შესრულებული, კრისტის აუქციონზე 8 ივლისს გაიყიდება. ნამუშევარი ერთ-ერთია მხატვრის ამ დრომდე შემორჩენილ 8 ნახატს შორის და ის ამ დროისთვის კერძო კოლექციაშია. ამჟამინდელმა მფლობელმა ის 2008 წელს შეიძინა.

ყველაზე ძვირადღირებული იახტა

Amazon-ის დამფუძნებელი და მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანი ჯეფ ბეზოსი 127 მეტრი სიგრძის აფრებიან იახტას ყიდულობს. მან იახტა ნიდერლანდებში Oceanco-ს ფარულად შეუკვეთა.

ასეთი იახტის ფასი 4500 მილიონია. იახტაზე იგეგმება ვერტმფრენის დასაფრენი ბილიკის განთავსება. ასეთი მონაცემით იახტა, მსოფლიოში პირველად ბეზოსს ექნება. მანამდე ყველაზე დიდ იახტად Black Pearl მიიჩნეოდა, რომელსაც Forbes სიის წევრი ოლეგ ბურლაკოვი ფლობს. ეს იახტა მილიარდერის მორიგი აქსესუარია. ამ დროისთვის Forbes მონაცემებით, ბეზოსის ქონება 4197,8 მილიარდია.

ხუთსართულიანი „ეროტიკული ცენტრი“

ნიდერლანდებში, ამსტერდამის ხელისუფლებამ „წითელი ფარნების კვარტალის“ ალტერნატივის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. ამსტერდამის მერმა ფემკე ჰალმსმა სათანადო პროექტი წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც ქალაქთან ახლოს ხუთსართულიანი „ეროტიკული ცენტრი“ აშენდება. შენობის ფართობი 5 ათასი კვადრატული მეტრი იქნება. „ეროტიკულ ცენტრში“ იქნება ორი ბარი, ასამდე ოთახი ინტიმური გართობისთვის და სტრიპტიზ-კლუბი.

ამსტერდამის მერი, ამ გადაწყვეტილებით სექს-მუშაკებისთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესებას გეგმავს და ამავდროულად ქალაქის ცენტრის „გასუფთავებას“. „ეროტიკულ ცენტრში“ შესვლა ფასიანი იქნება. ამ შემთხვევაში ცენტრი ნაკლებად მიიზიდავს ტურისტებს, ახლა კი „წითელი ფარნების კვარტალში“ გასეირნება უფასოა. ასევე ცნობილია, რომ „ეროტიკული ცენტრის“ ასაშენებლად, ამსტერდამის მერი სპონსორს და კომერციულ პარტნიორს ეძებს. ამსტერდამში „წითელი ფარნების კვარტალის“ დახურვის გადაწყვეტილების შესახებ 2021 წლის თებერვალში გახდა ცნობილი. მაშინ ამ გადაწყვეტილების მიზეზად, ქალაქის ტურისტული იმიჯის შეცვლა დასახელდა.

სპილოს სახელით შეტანილი სარჩელი

ნიუ-იორკის სასამართლომ სარჩელი სპილო ჰეპის სახელით წარმოებაში მიიღო. სპილო ბრონქსის ზოოპარკის ბინადარია. სარჩელი სასამართლოში ცხოველთა დაცვის ფონდის (Nonhuman Rights Project) წარმომადგენლებმა შეიტანეს. ეს ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა ინგლისურენოვანი სასამართლო ცხოველის სახელით შეტანილ სარჩელს განიხილავს. ფონდი, სპილო ჰეპის სახელით სასამართლოში სარჩელის შეტანას 2018 წლიდან ცდილობს. ამ დრომდე სასამართლომ სპილოს სახელით შეტანილი არცერთი სარჩელი არ მიიღო.

სპილო ჰეპისა და დედამისის ისტორია პორტალ Curbed-ზე გავრცელდა. სპილო 1970 წლიდან ბრონქსის ზოოპარკის ბინადარია.

ის ვოლიერში დედა ჰეგისთან ერთად ცხოვრობდა, თუმცა ზოოპარკის თანამშრომლებმა ისინი ხშირი კონფლიქტის გამო დააშორეს და სხვა და სხვა ვოლიერებში მოათავსეს. ცხოველთა დაცვის ფონდში მიიჩნევენ, რომ სპილო ჰეპის უფლებები ირღვევა და მის ნაკრძალში გადაყვანას ითხოვენ. თუ ორგანიზაციამ ამას მიაღწია, სპილო ჰეპი, პირველი იქნება, რომელიც სასამართლოს ვერდიქტის საფუძველზე თავისუფლებას მოიპოვებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 12 მაისს

სრ

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.4324; ევრო - 4.1450;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.7776;
100 რუბლი - 4.6319; თურქული ლირა - 0.4147;
აზერბაიჯანული მანათი - 2.0170;
1000 სომხური დრამი - 6.5755.

ამინდი 10 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+15
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+16

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge